ცნობის ფურცელი

№ 2626 ხუთშაბათი, 30 სექტემბერი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2626

ეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატ- კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ს დიდ ქუჩაზე, № 27.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნომერში ექვსი გვერდია

„წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობა ამით აუწყებს „საზოგადოების“ წევრებს, რომ ხუთშაბათს, 30 სექტემბერს, დილის 11 საათზე, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი „საზოგადოების“ საპატიო წევრის

სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის

სულის მოსახსენებლად. (2—2)

ართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ხუთშაბათს, 30 სექტემბერს, დილის 11 საათზე, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა (მესსა) და პანაშვიდი „საზოგადოების“

საპატიო წევრის

სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—უ.—1)

ხუთშაბათს, 30 სექტემბერს,

კნეინა ანასტასია სუმბათაშვილის

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი წმ. ბარბარეს ეკლესიაში (შორეულში), რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ თავადი ლექსანდრე მიხეილის ძე და კნ. ბარბარე ალექსანდრეს ასული სუმბათაშვილები. ირვა დაიწყება დილის 10 ს., ხოლო პანაშვიდი—12 საათზე. (2—329—2)

---

29 ენკენისთვეს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ბარბარე პავლეს ასული ზუბალაშვილისა,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ დები და შვილები. პანაშვიდი პარასკევს, ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე. გამოასვენებენ თავის სადგომიდან, გრიბოედოვის ქ., № 20, შაბათს, 2 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, მიძინების რომის-კათოლიკეთა ეკლესიაში, კათოლიკების ქუჩაზე. დაკრძალავენ კათოლიკეთა ახალ საფლაოზე. (2—331—1)

ზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

ხუთშაბათს, 30 სექტემბერს 1904 წელს

რმოდგენილი იქნება „რიგოლეტო“ ოპერა 4 მოქ., მუს. ვერდისა.

ნაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანტონოვა, ბუნაკოვა, ზასლავსკაია; ბ-ნნი დონსკოი, ობრაზცოვი, გალეცკი, ზელინსკი.

ასტერი მიკლაშევსკი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე

ქტ.—„გალკა“ 2 ოქტ. „გალა“ წარ. „იოანე ლეიდენელი“ მზადდება პირველად „ნერონი“, რუბინშტეინისა.

გამგე ი. ა. კელლერი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო

ურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ი. ბადარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½— ½ ს.

მუდინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ლდღე გარდა კვირისა. 9—11 საათ.

ი. კამოევი.—საშარდესი ხირურგია და ვეი ყოველდღე. 12—1 საათ.

ი, კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½ ½ საათამდე.

ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა ალობა ელექტრონით 12—1 ს.

ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სა-, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ა. ბიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2

მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვე- და (შემოწმება ძიძებისა) ორშაბათ., პარასკ. კვირაობ. 1—2 საათამდე.

ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—2 საათ ველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორთო-: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. საათამდე.

საღამოთი:

ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორთოპედია. აბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ხ. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში მყოფები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის დან ძეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქ., № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში, ექიმი

მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი

მიიღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—6—12)

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი

დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—22)

კბილის ექიმი

ალ. ხოლოდაშვილი

გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლში № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე. მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7, კვირაობით 9—12 საათამდე. (30—6.—23)

კბილის ექიმი

ელ. რომანიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—6.—13)

ექიმი

მ. აგანჯანოვი

სპეციალისტი საშარდისა, ვენერიულისა და სიფილისის ავადმყოფობებისა,—დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება: დილით 12—3 საათ. საღ. 7—9 საათ. მიხაილოვის პროსპ. № 60. ავადმყოფთათვის ახალი შესავალია—ისარლოვის შესახვევიდან. ტელეფონი № 663. (4—324—4)

ქუთაისში, კბილის ექიმი **პ. გ. მახარაშვილი,**

გადავიდა მურალოვის სახლში, ბულვარისა და ქალების გიმნაზიის პირ-და-პირ. (6—3799—4)

პანსიონი

ელისაბედის ქუჩა. № 71 ისარლოვისეული სახლი

ალექსანდრე გიორგის ძე

მირზაშვილისა.

მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—59).

სანერგე დამყნილი ამერიკული ვაზისა (სხვილის). დაიბეჭდა ახალი პრეისკურანტები სანერგისა და მსურველს შეუძლიან გაიწეროს. ადრესი: Квирилы, Георгію Чивадзе. (10—3822—1)

შ. არაგვისპირელის

მესამე წიგნი

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში. (5—5—1)

ექიმი

გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულის და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154. ტელეფონი № 825. (90—295—12)

საჭიროა

მასწავლებლები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლებისათვის

გომარეთსა და ყალამშიაში (ბორჩალ. მაზ.) მასწავლებელს ექნება გომარეთში ჯამაგირი 35 მან. თვეში და ბინა, ყალამშიაში—30 მან. და ბინა.

მსურველნი უნდა გამოცხადდნენ ტფილისში, „საზოგადოების“ კანცელარიაში, ორშაბათს, 4 ოქტომბერს, დილის 7½ საათ გამოსაცდელ გაკვეთილების მისაცემად. (2—უ.—2)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 სექტემბერი

პეტერბურგი. 28 სექტემბერს რეველიდან ცარსკოე სელოში დაბრუნდნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული მემკვიდრე ცესარევიჩითურთ და გენერალ-ადმირალი, რომელიც პეტერბურგს წავიდა.

ვაშინგტონი, 28 სექტემბერი. რუზველტმა სახელმწიფო დეპარტამენტს მიანდო, მოსთხოვოს რუსეთს დაწვრილებითი განმარტებანი ამერიკის იმ ფოსტის შესახებ, რომელიც „კალხას“-ზე იყო.

ჩიფუ, 28 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). გუშინ დალნიდან გამოსულ იაპონელთა სიტყვით, ნიპონის რაზმმა 26 სექტემბერს იერიში მიიტანა იტშანის გორაზე მდებარე პატარა პოზიციაზე. რაზმს გადასვლა მოუხდა თხრილზე, რომელიც ნაწვიმარ წყლით იყო სავსე. რუსებმა სუსტი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ იმათმა არტილერიამ აიძულა იაპონელები, პოზიციისთვის თავი მიენებებინათ და უკანვე გადასულიყვნენ თხრილებსა და ტრანშეებს.—ამბობენ, ორი კორესპონდენტი, რომელთაც პორტ-არტურში შესვლა მოუხერხებიათ, უკანვე გამოუსტუმრებიათ. იმათ თან საკუნსულოს მოწმობანი ჰქონდათ, მაგრამ სტესელს ეს მოწმობანი საკმაოდ არ უცვნია.

ტოკიო, 28 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). ამბობენ, რუსის დიდი რაზმი გადავიდა მდინარე ხუნს და იერიში მიიტანა იაპონიის პოზიციებზეო. იაპონიის ჯარიც მრავლად მიდის სიმხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. ამბობენ, დიდი ბრძოლა იწყებაო.

ტოკიო, 28 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). გამოცხადებულია, რომ პირველ ხარისხის საკანონერო ნავი „ხეიან“-ი 5 სექტემბერს გოლუბინაია ბუხტასთან ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა. დაიღუპა 300-მდე კაცი. ორმა უნტერ-ოფიცერმა და ორმა მატროსმა უახლოეს კუნძულს მიაღწიეს და იქ იმათ საშველად გაგზავნილმა გემებმა მიაგნეს. გადარჩენილებმა გადმოგვცეს, 5 სექტემბერს, როცა „ხეიან“-ი ზღვაში იყო, ქარიშხალი ასტყდა, ამიტომ საკანონერო ნავს ბუხტაში დაბრუნება უნდოდა და ამ დროს წააწყდა მცურავ ნაღმს, რომელიც შტირბორტის ახლოს გასკდა. გემმა ჩაძირვა დაიწყო. ნავები ჩამოუშვეს, მაგრამ ისინი წყლით აივსო, რადგან ზღვა ძლიერ ღელავდა. ყველა ნავებში მყოფი დაიღუპა. იაპონიის ფლოტმა კარგად დაათვალიერა ის ადგილი, სადაც „ხეიან“-ი დაიღუპა, მაგრამ გადარჩენილ მეზღვაურთ ვერ მიაგნო. „ხეიან“-ზე 211-მდე მეზღვაური იყო, რომლებიც სადარაჯო სამსახურს ასრულებდნენ.

(ღამის დეპეშები იხილე მე-5 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ეკო დე პარი“ სწერს: რუსეთის მთავრობა გენ. კუროპატკინს მთავარ-სარდლად დანიშნავს და იმის მაგივრად მანჯურიის პირველ არმიის უფროსად გენ. ლინევიჩს დანიშნავს და არა გენ. ბილდერლინგს, როგორც ზოგსა ჰგონიაო. („რ. ლ.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი დიდის პატივისცემით იხსენიებს ნამესტნიკ ალექსეევის შტაბის უფროსს გენ. ჟილინსკის, დიდის ცოდნის პატრონია და მეტად ბეჯითი, მშრომელი კაციაო. („ნ. დ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის პეტერბურგელ კორესპონდენტს შეუტყვია: მანჯურიის მეორე არმია გენ. გრიპენბერგის უფროსობით ვლადივოსტოკის მხრიდან კორეას შეესევა, კუროკის არმიას ზურგიდან მოექცევა და გზას მოუჭრის, რომ გენ. კუროკიმ ანდუნიდან (მდ. იალუზე) სურსათი ვეღარ მიიღოსო. ეს პლანი გენ. ჟილინსკის შედგენილიაო. („რ. ლ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი სწერს: „23 სექტემბერს დილიდანვე დიდი მოძრაობა დაიწყო მუკდენში, ქუჩა-ქუჩა დიდ-ძალი დატვირთული ურემი და ჯორი მიდის. ყველა გახარებულია. ეტყობა, მალე დიდი ამბები მოხდება“. ეს სიხარული, ალბად, გენ. კუროპატკინის ბძანებამ გამოიწვია.

მუკდენიდან დეპეშით ატყობინებენ „ბირჟევია ვედომოსტი“-ს: „რუსი და უცხოელი კორესპონდენტები ეხლა აქ მოდიან. წინად ხარბინსა და ტელინში ცხოვრობდნენ. მუკდენი მეტად გაცოცხლდა. ჯარი განუწყვეტლივ მოდის; მოწინავე რაზმებს მუდამ შეტაკება მოსდით. ვაჭრებმა მუკდენში დიდძალი ბეწვიანი ტყავი მოიტანეს; საჭიროც იყო, რადგან ცივი ამინდი დადგა. ვაჭრობა გაჩაღებულია; ყველაფრის ფასს მოემატა, მეტადრე სანოვაგისა და ცხენის საჭმლის ფასს; რაც წინად ორიოდე კაპეიკი ღირდა, ეხლა მანეთად იყიდება. ჩინელი ვაჭრები და ხალხი მდიდრდებიან. („ბ. ვ.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი სწერს: მუკდენში ამ ჟამად ყველაფერი გაძვირდა; ერთი ქათამი 1 მ. 60 კ. ღირს, პატარა კოლოფი ხორცის კონსერვი 4 მანეთი და სხვ. („რ. ვ.“).

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ს დეპეშით ატყობინებენ: გენ. ოკუ მდ. ხუნხეში გავიდა და რუსის ჯარს დასავლეთიდან უვლის. გენ. კუროპატკინს ოკუს წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა უნდოდა, მაგრამ ვერ გაგზავნა, რადგან გენ. კუროკიც გვერდიდან უვლის რუსის მარცხენა ფრთას. კუროკის არმია ნელ-ნელა მიდის აღმოსავლეთისკენ და რუსის ჯარს გვერდიდან ექცევა. („ნ. დ.“).

„ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: გენ. კუროპატკინის უმთავრესი ჯარი მუკდენთანა, ფულინთანა და ფუშუნთან დგას მდინარე ხუნხეს პირადაო. იაპონელების ჯარი 100 ვერსტის სიგრძეზეა გამწკრივებული. უმთავრესი ბინა და ბაზა იანტაიში აქვთ. რუსებმა თადარიგი დაიჭირეს, რომ იაპონელებმა გვერდიდან არ მოუარონ, არ [illegible] და გზა არ მოუჭრან

ს ჯარსა დიდი ბრძოლა, ალბად, ფუ- ან მოხდება. („ნ. დ.“).

კიოდან დეპეშით ატყობინებენ გერ- ო გაზეთებს: მიკადომ (იაპონიის იმპე- რმა) ბრძანება გასცა, 13 ახალი დი- შეადგინეთ მეორე რიგის სათადარიგო -კაცებისაგანაო. („ბ. ვ.“).

ბინში მეტად გაძვირდა კეროსინი, სა-თუ ლი, თამბაქო, მარილი, საპონი, ასანთი („სპ კა“), ძაფი, შაქარი, ფქვილი, ტანისამოსი და ფეხ-საცმელი. ვაჭრები ჩივიან, ს გზას რიგზე ვერ მოაქვს საქონელიო. („ ვ.“).

ტანდარდ“-ის კორესპონდენტი იუწყება: მანჯურიაში სიცივე დაიჭირა. ლანშანგუანის მთაზე (ლიაოიანის აღმოსავლეთით) თოვლი მოუვიდაო. („რ. ვ“.).

პორტ-არტური. „სტანდარდ“-ი იუწყება: მას აქეთ, რაც იაპონელებმა წყლის მილი ჩაიგდეს ხელში, პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარს უწყლობა აწუხებს. მაშინები ვერ ხწმენდენ იმდენ წყალს, რამდენიც პორტ-არტურს სჭირიაო. („რ.“).

დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ ჩი- თუმცა რუსები ზარბაზანს უშენენ, ბი მაინც ცდილობენ იტშანის ფორტის წინ ზარბაზნების დადგმასაო. „ვისოკაია გორაზე“ რომ ბრძოლა მოხდა, რუსებს 2 ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრესო.

შანხაიდან ატყობინებენ იმავ გაზეთს: რუსის გემი პორტ-არტურთან ნაღმებს იღებდა ზღვიდან, ნაღმს მოჰხვდა, იფეთქა და ჩაიძირაო. („ნ. დ.“).

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: ტოკიოში ხმა დადის, იაპონელებმა ყუმბარებით 4 რუსის სამხედრო გემი ძლიერ დააზიანეს, ერთი სულ დაამსხვრიესო. („მ. ვ.“).

ტანდარდ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: არტურის მეციხოვნე ჯარი ხშირად ს საფრებიდან და იაპონელებზე იერი- წაიღებქვსო. ამბობენ, რუსებს ყუმბარა და [illegible] ელევათო. („მ. ვ.“).

◆

თიანის ამბები. „ნოვოსტი დნია“-ს კორესპონდენტი ბ. გარინი განაგრძობს თავის წერილს, 21 აგვისტოს კიდევ სადგურ იანტაიზე რუსის ჯარის ქარავნები ორმოცის ვერსის სიგრძეზეა გაბმული და განუწყვეტლივ იან მუკდენისაკენ. გენ. კუროკი ქარავნების დასაჭერად მოიწევს, მაგრამ რუსის ჯარი წინ უდგა და აჩერებს. რკინის გზის აღმოსავლეთით 20 რუსის ცხენოსანი პოლკი ს, სამხრეთით ბარონ შტაკელბერგის პირველი კორპუსი· ძლიერ შეთხელდა ეს კორპუსი, მაგრამ მაინც სახელოვნად იბრძვის. ენ მე-54 დივიზიის გაფუჭებული საქმე შჩენკომ და გენ. შტაკელბერგმა გა- მე-54 დივიზიას პირველად გენ. კრუკო მიეშველა ყაზახებითა და 20 ზარბაზნით ყაზახები ჩამოხტნენ და იაპონელთა წინ დაუდგნენ. მალე პირველი კორპუსიც მიეშველათ, მაგრამ იაპონელებმა იერიში მოიტანეს რუსის ჯარზე და გენ. მიშჩენკოსა და შტაკელბერგს რკინის გზისაკენ დაახევინეს. გენ. კუროპატკინმა მაშინვე ბრძანება გასცა და რუსის ჯარს მუკდენისაკენ დაახევინა.

რა გუნებაზეა დღეს რუსის ჯარი? ამაზე ხმას არავინ იღებს. ყველა დაღვრემილია და თავის საქმეს ჩუმად აკეთებს. ლაპარაკისა და ფიქრის დრო არაა. უნდა ვეშურნეთ, თორემ ვაი თუ იაპონელებმა გზა მოგვიჭრან.

ხმა დადის, ნამესტნიკი ალექსეევი აქეთ მოდის და იქნება დროებით ან სამუდამო შერიგებაზე მოლაპარაკება გამართოს იაპონელებთანაო. მაგრამ ეს ხმა ბევრს არა სჯერა: ეგ ტყუილია! არა თუ ზავს არ ჩამოაგდებენ, პირიქით ომი უფროც გაგრძელდებაო.

იაპონელებმა პრაკლამაციები გაავრცელეს ჩვენში. პრაკლამაციაში ნათქვამია: ჩვენ, იაპონელებს, ბევრი ჯარი გვყავს და ტყუილად გვებრძვით, სულ ერთია ვერას გაჰხდებით. მართალია რუსები სამჯერ მეტნი ხართ რიცხვით, მაგრამ ოცჯერ მეტი გზა გაქვთ გამოსავლელი მანჯურიამდე, ვიდრე ჩვენ; ამიტომ იაპონიას ერთი სამად მეტის ჯარის მოყვანა შეუძლიან, ვიდრე რუსეთს. თქვენთან ბრძოლა სულ არ გვინდა, პირიქით მშვიდობიანად ცხოვრება გვსურს. ტყუილად მოჰსულხართ მანჯურიაში; აქ არაფერი საქმე არა გაქვთ. გინდაც რომ ვერ გამარცხებდეთ, მაინც თქვენი საქმე წასულია, მანჯურიას ვერ დაიჭერთ, ჩინელებს ვერ დაიმორჩილებთ. ჩინელები მრავალნი არიან, ხუთი ათას წლის ისტორია და კულტურა აქვთ; ამიტომ ჩინეთს ვერავინ დაიპყრობს, ვერავინ ჩაჰყლაპავს, პირიქით, თითონ ჩინეთი უომრად, მშვიდობიანად დაიპყრობს, ჩაჰყლაპავს ყველას, ვინც ძალით დამორჩილებასა და ჩაყლაპვას მოუნდომებს. თქვენ, რუსებს, უმანჯურიოდაც დიდი ადგილები გიჭირავთ, ვერც-კი უვლით. თითონაც გესმით ესა და აკი ამიტომ ცუდად იბრძვით. გთხოვთ, ტყუილ-უბრალოდ სისხლს ნუ გვაღვრევინებთ, იარაღი დაჰყარეთ და შინისაკენ გასწიეთო.

აღმოსავლეთ მხარეს თოფის სროლა შეწყდა. მხოლოდ აქა-იქ და მოისმის თოფისა და ზარბაზნის ხმა. დაჭრილები თითქმის აღარ მოჰყავთ.

საღამო ხანზე ჩვენი მატარებელი დაიძრა. სევდითა და შიშით შევხედე იანტაის მაღაროებს, გაოლიანის დაუსრულებელ ყანებს: ბევრი საზარელი ამბავი ხდება ეხლა იქა! ვინ იცის რამდენი დაჭრილი იტანჯება, სიარულის თავი არა აქვს, სხვაც არავინ ჰშველის. იქნება ბევრ გაქცეულ სალდათს გზა დაებნა ამ გაოლიანის ყანებში და უიმედოდ აწყდება აქეთ-იქით.

წყნარი თბილი ღამეა. ჩვენი მატარებელი ზევითკენ მიდის. აქეთ-იქით ორსავ მხარეს ქარავნები მოგვდევენ რახ-რახით. ეს რახრახი მე თოფის ქახა-ქუხად მეჩვენება.

ესევე მოსჩვენებია ორ რუსის როტასაც. სადგურ შახეზე მისულან, დაუძინიათ. ვიღაცას უცებ ძილში საზარლად დაუკივლია:

— არიქა! თოფს ისვრიან. იაპონელები გვერდიდან გვივლიანო.

ორივე როტა უცებ ზეზე წამოხტა. ზოგი გარბის; ზოგმა თოფსა სტაცა ხელი, სროლა ასტეხა; ზოგი შტიკით გამოვარდა.

სანამ ჩვენ მივედით, სადგურ შახეზე ყველანი დაემშვიდებინათ. მხოლოდ პლატფორმაზე შტიკით მოკლული უნტერ-აფიცერი იწვა; 19 დაჭრილი სალდათი სადღაც სხვაგან დაეწვინათ. მერე ინჟინერმა ლებედევმა გვიამბო: იმ საზარელ ღამეს ყველას ძილი დაუფთხა, ყველას მეტად ცოტა ეძინაო. ერთს საპიორის ბატალიონში ორჯერ დაჰკრეს განგაში. მოდარაჯე სალდათმა ორჯერ საზარლად დაიყვირა:

— ვინ მოდის? ვინ?!

ბატალიონი ბნელაში წამოხტა. დიდი ალიაქოთი ასტყდა. აფიცრებიც ხელად წამოხტნენ, მუნდირები ვერც-კი ჩაიცვეს, ხმლები გადიკიდეს მხარზე.

— აგე, აგე, გაოლიანში!

— თუ ღმერთი გწამთ, ერთმანეთი არ ამოსწყვიტოთ! სჯობია, სულ არ გაისროლოთ თოფი!

შიში ძლიერდება, სხვა რაზმებსაც ედება და მთელი ეს უშველებელი ქარავანი ჰლელავს. ვაი თუ ეს უზარმაზარი, დაუსრულებელი ქარავანი აირ-დაირიოს და შედგეს!

ბოლოს ქარავანმა და ჯარმა მაინც უზარალოდ დაიხია მუკდენამდე. („ნ. დ.“).

რუსის სალდათი. „პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“-ის საკუთარი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება მუკდენიდან:

„ამ დღეებში იაპონელების მზვერავი რაზმი რუსის მზვერავ რაზმს შეჰხვდა და ერთი კონვერტი გადუგდო. კონვერტზე მანჯურიის არმიის შტაბის ადრესი ეწერა; რუსებმა გახსნეს ეს კონვერტი და შიგ შემდეგი წერილი წაიკითხეს: წერილი რუსულადაა დაწერილი. „ამა წლის 27 სექტემბერს ახალის სტილით ჩვენმა სალდათებმა ჩვენის მოწინავე რაზმების ახლო რუსის სათადარიგო სალდათი დაიჭირეს ჩინურ კაცივით ჩაცმული. ეს სალდათი ვასილი რიაბოვი იყო, მე-284 ემბარის კ სა, პენზის გუბერნიისა, მავ მ სოფელ ლებედევკის მცხოვრებელი. დათმა გვითხრა: ჩემ ს საკუთარის სურ თქვენის ჯარის დასაზვერად გამომგ და 27 სექტემბ ს სადგურ იან თქვენ მოდარაჯე რაზმებს მივუახლ სამხედრო სასამართლომ საქ კანონ გაარჩია და რიაბოვს სიკვდილით გადაუწყვიტა. 30 სექტემბერს ეს გ ტილება ასრულდა და რიაბოვი დაიხვრიტა.

ამ ამბავს რუსის არმიას ვატყობ ჩვენი არმია ამასთანავე გულწრფელ ვილს აცხადებს, რომ პატივცემულ ბევრი გამოეზარდოს იმისთანა ნამდ ჩინებული, სრულის პატივისცემის მეომარი, როგორიც რიაბოვი იყო. ვკითხეთ: სიკვდილის წინ ხომ არ რა სათქმელიო, რიაბოვმა გვიპასუხა:

— მზადა ვარ ხელმწიფეს, სამშ და სჯულს თავი შევსწირო.

მერე ვუთხარით: ჩვენ კარგად შენი მდგომარეობა და ვეცდებით შე ბლებსა, ცოლსა და შვილსა გად რომ შენ ასე მამაცადა და გულმ შესწირე თავი ხელმწიფესა და სამშობ თუ რამე გაქვს შენ ნათესავებთან ცემი, სთქვი, ჩვენ გადავცემთო. რი გვიპასუხა:

— დიდად მადლობთ, შეატყობინე გორც იყო საქმეო.

ამ დროს ცრემლი მოერია თვალ მერე პირჯვარი გადიწერა, დაიჩოქა, მხარეს ილოცა და თითონ დინჯად სასჯელის ადგილას. დამსწრეთ ლი წასქდათ. ყველამ გულწფელი გრძნობა გამოუცხადა ამ სამაგალითო ვის მოვალეობის მტკიცედ ამსრულ სალდათს... პატივისცემით იაპონიის შტაბის კაპიტანი...“

რიაბოვის გმირობას ქება და დიდე სჭირია, მაგრამ იაპონელ კაპიტნის წ პატივისცემას ჰვიდეიძებს გულში არმიისადმი. („პ. ვ.“).

რედაქციისაგან.

ვისაც „ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ წლიური ფასის უკანასკნელი ხვედრი არ შემოუტანია, რედაქცია სთხოვს დააჩქაროს შემოტანა; წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთ-ჟურნალის გზავნა მოესპობათ 1 ოქტომბრიდან.

„ცნობის ფურცელი“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მან.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. 20 სექტემბერს ედინბ რგელმა მინისტრმა ბალფურმა სიტყ თქვა და შეეხო საკითხს სადამოუნი შესახებ. მეო — სთქვა ბალფურმა,— ტიულ დასის მეთაურად ვერ დავრჩები დასი თავის პროგრამაში შეიტანს პროტ ნიზმს, რომელიც სასარგებლო იქნება მრ ბის ერთის დარგისთვის, ხოლო საზარ დარგებისთვის. ჩემის აზრით, ბაჟი უნდ სხვა სახელმწიფოებიდან შემოტანილ

ფელეტონი

ორი ბარი

(ინდოური ლეგენდა)

ჰენრიკ სენკევიჩისა

ის იყო ორი ქვეყანა, ორი თვალ-გადუწვდენელი ბარი, რომელთაც ჰყოფდა განიერი ანკარა მდინარე. ერთ ადგილას მდინარის ორივე ნაპირი დადაბლებულიყო და ჰქმნიდა ფონს, რომელიც ანკარა წყლით სავსე პატარა ტბას ემსგავსებოდა. მდინარის ოქროს ძირიდან ამოდიოდა ლოტოსის [illegible], რომლის თეთრი და ვარდის ფერი ყვავილები ირწეოდნენ ანკარა წყალზე. ჭიაფა და ჭრელი პეპლები დასტრიალებდნენ ყვავილებს. მდინარის ნაპირებზე მზის სხივებში, და მაღლა ლაჟვარდ ცაში ფრინველებს ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ.

ამნაირი იყო მდინარე და ფონი, რომელიც ორ ქვეყანას ჰყოფდა. ერთს ერქვა ბარი ცხოვრებისა, ხოლო მეორეს—ბარი სიკვდილისა. ორივე გაჩენილი იყო უზენაესისა და ყოვლად შემძლებელის ბრამას მიერ. ბარი ცხოვრებისა ბრამამ ჩააბარა გულ-კეთილ ვიშნუს, ბარი სიკვდილისა კი ბრძენ სივას და უთხრა იმათ: „თქვენ ნებაზე მორთეთ ეს ქვეყნებიო“.

ვიშნუს სამფლობელოში გაჩაღდა ცხოვრება, მზე ამოდიოდა და ჩადიოდა, ჰქმნიდა დღესა და ღამეს; წყალი ოკეანეებში ხან ამოიწეოდა და ხან [illegible]ლოდა. ცაზე ამოჩნდა წვიმით დატვირთული [illegible] ამწვანებდა ტყეებს... ეს იყო ხალხით [illegible] ამ ქმნილებებს რომ გამრავლება შესძლებოდათ, კეთილმა ვიშნუმ გაჩინა სიყვარული და უბრძანა სიყვარულს, ერთისა და იმავე დროს ბედნიერებაც ყოფილიყო. მაშინ ბრამამ მიიწვია თავისთან ვიშნუ და უთხრა:

— შენ ამიერიდან აღარავის გაჩენა აღარ შეგიძლიან მიწაზედ და, რადგან ცა მე გავაჩინე, ნება გაქვს მოისვენო. ის არსებანი, რომელთაც შენ „ხალხი“ უწოდე, თვითონ ჩვენ დაუხმარებლად განაგრძობენ თავიანთ ცხოვრების ძაფის ქსოვას.

ვიშნუ დაემორჩილა ბრამის ბრძანებას. იმ დროიდან ხალხს უნდა ეცხოვრა და ეფიქრა თავის სურვილსა და ნებაზე. იმისი კეთილი მოფიქრებანი იხსნებოდა სიხარულით, ხოლო მავნე სევდით. განცვიფრებულმა ადამიანებმა დაინახეს, რომ ცხოვრება სამუდამო, შეუწყვეტელი სიამოვნება როდია. ის ძაფი, რომელსაც ბრამა იხსენიებდა, ირთება ორ მსთველისაგან. ერთ მსთველს სახე უღიმის, ხოლო მეორეს თვალები ცრემლებით ევსება.

წავიდა ხალხი საჩივლელად ვიშნუსთან.

— ბატონო,—მოახსენეს,—ძლიერ გვიმძიმს ცხოვრება სევდის ბურანში.

ვიშნუმ უპასუხა იმათ:

— სიყვარულმა დაგიცვათ თქვენ!

ხალხი დამშვიდდა და დაიშალა. სიყვარულმა მართლაც გაჰფანტა სევდა. სიყვარული ცხოვრების დიდი მქნელია.

თუმც დიდი იყო ის ქვეყანა, სადაც ვიშნუ მეფობდა, მაგრამ ხალხი მალე სივიწროვის გამო ვეღარ მოთავსდა. აღარ იშოვებოდა ხეხილი ტყესა და ბაღებში, ფუტკრებსაც აღარა ჰყოფნიდა თაფლი. მაშინ უფრო ჭკვიანებმა გადასწყვიტეს, გაეკაფათ და გაეწმინდათ ტყეები, დაემუშავებინათ მინდვრები, დაეთესათ და მოსავალი მოეყვანათ. ამნაირად დაიბადა მიწაზე შრომა.

მა [illegible] და იძულებული გახდა ეშრომა. შრომა არსებობის პირობად კი არა, თვით არსებობად გადაიქცა. შრომამ დაბადა ზრუნვა, ამას მოჰყვა დაღალობა.

ხელახლა შემოესია ხალხი ვიშნუს ტახტს:

— ბატონო,—შესძახა ხალხმა ხელების გაშვერით:—ჩვენი სხეული დაუძლურდა შრომისაგან და ჩაგვესისხლხორცდა დაღალობა; ჩვენ გვინდოდა შეგვესვენა, მაგრამ ცხოვრება გვაიძულებს ვიშრომოთ შეუწყვეტლად.

ვიშნუმ სთქვა:

— დიდებულმა ბრამამ ნება დამრთო გაგიჩინოთ ისეთი რამ, რაც დროებით შესძლებს ცხოვრების შეჩერებას და მოსვენების მონიჭებას.

ამისთვის იმან შექმნა ძილი. ხალხმა მხიარულად მიიღო ახალი საჩუქარი და მალე დააფასა კიდეც. ძილში სევდა და ზრუნვა წყნარდებოდა. ძილში ხელახლა იკრიბებოდა დაკარგული ძალ-ღონე. ძილი, ვითარცა კეთილი დედა, აშრობდა ცრემლებს და ახვევდა მავიწყების ბურუსში ცუდ ფიქრებს. ხალხი აღფრთოვანებული იყო ძილით და ამბობდა:

— კურთხეულ იყავ, რადგან უკეთესი ხარ, ვიდრე ჩვენი დღის აუტანელი ცხოვრება.

ხალხი მხოლოდ იმასა სწუხდა, რომ ძილი სამუდამოდ არა გრძელდებოდა და ადამიანს მალე უხდებოდა გაღვიძება, გაღვიძება ხომ ხელახლა შრომას ნიშნავდა? მასთან ზრუნვასა და დაღლობას. ეს აზრი ისე აშინებდა და ადამიანებს, რომ მესამედ მივიდნენ ვი

— ბატონო,—მოახსენეს ვიშნუს,— გვიძღვნე მშვენიერი და დაუფასებელი რე, რომელიც არ არის დამთავრებულ ბე, რომ ძილი სამუდამო იყოს.

ვიშნუმ მოიშმუხნა თავისი ღვთაებრ გაიხსენა ამნაირის ჩაცივებულის თხ რე უპასუხა იმათ:

— მე არ შემიძლიან მაგ თხოვნის ას წადით მდინარეზე, სადაც ფონია, რე ნაპირას იპოვნით იმას, რასაც დაუქებ ლხი დაემორჩილა ღვთაებას და გაეშურა საკენ, საიდანაც ხედავდა მეორე ნ ბრწყინავდა, დაწყნარებულ წყლის ზეწრის იმლებოდა ბარი სიკვდილისა, ქვეყანა სივასი. იქ მზე ამოდიოდა, მაგრა ჩადიოდა და არც დღე და ღამე იყო. ქვეყანა მოცული იყო რაღაც საიდუმლო ლით, ნივთები არ იძლეოდა ჩრდილს. განსჭვიოდა ყველა საგანში არც უდაბნო ბარი, რადგან მოსჩანდა მთები, ხეებ ადგილები, ყვავილები და ვენახები, მელიც მთის კალთებზე იყო შეფენილი ბი ხეები, და ყველა ხილული იმა ქ გაჟღენთილი იყო ამ საიდუმლო ნათელით, ლიც თავისით გამოსჭვიოდა. ეს ბწყ ბუნება სრულიად მოსვენებული იყო ნ ძილით, რომელმაც გამოფხიზლება არ ჰაერი დაწყნარებული იყო, ყვავილები და დები არ შრიალებდა.

მეტისმეტი ხალხი, რომე მდინარის

ს, როდესაც ეს საჭიროა. ხოლო საჭიროა ა შემოდება ხელშეკრულების დადების დროს. ი ბავი ძალიან გაუადვილებს ინგლისის სა-მწიფო მოღვაწეებს ინგლისისთვის სახეირო შეკრულების დადებას. ინგლისმა ისეთი სადა- ტარიფი უნდა შემოიღოს, რომელიც ხელს ბიდეს საქონლის თავისუფალ გაცვლა-გამო-ს ინგლისის იმპერიის ნაწილებს შორის. მ ინგლისსა და კოლონიებს შორის ისეთი ოდებულება, რომ საქმის გამორკვევა და ბა შეუძლიან მხოლოდ დამოუკიდებელ კო-ნციას, რომელიც უნდა მოხდეს ინგლისსა, სართველ კოლონიებსა და ინდოეთს შო- კონსერვატიული დასი და ისინიც, ვინც გარეშე არიან, უნდა ეცადნენ ასეთ კონ-ნციის მოწვევას“.

ავსტრ-უნგრეთი. ეხლა ხან მოხდა ავს-ს მრეწველთა კავშირის კრება. ამ კრებაზე ტრ.-პრეზიდენტმა წარმოსთქვა სიტყვა, რო-ც კრებამ დიდი ყურადღება მიაქცია. კერ-ჯერ აღნიშნა, რომ მთავრობა შრომასა და არა ზოგავს მრეწველობის განავითარებ-ო. მაგალითისათვის ის 500 მილიონი ახ- რომელიც გადაიდო ახალ რკინის გზებისა რხების გასაყვანად. სამწუხაროდ, ავსტრიაში ივრის გაზეთებს და უკუღმა ახსნა იცია- მერე პირველი მინისტრი შეეხო პოლიტი-და სხვა და სხვა ერთა ბრძოლას. იმის სი-თ, ამ ბრძოლისა და აურ-ზაურის მიუხედა- საქმე ავსტრიაში კარგად მიდის და მშვი-ანობა და კაცთა შორის სათნოება მალე ჩა-რდება. ამის გამო „ბერლ. ტაგებლ.“ შე-ვს: ლამაზის სიტყვებით რომ ავსტრიის კეთდებოდეს, აქნამდე სახელმწიფო აყვავე-ოქნება, რადგან კერბერი ლამაზ სიტყვებს ხანია აღარავისთვის აღარ იშურებსო.

შეერთებული შტატები. ევროპიდან გა-ხდებულ პოლონელთა რიცხვი წლით-წლო-მრავლდება ამერიკაში. ამ ჟამად შტატებში მილიონ პოლონელამდეა. პოლონელები ამე-ისაც არა ჰკარგავენ თავიანთ ეროვნულ ელ-, ენასა და ზნე-ხასიათს და სცდილობენ ამის უფრო განმტკიცებას და გაძლიერე-ამისათვის პოლონელნი ბევრ ფულსა ჰხარ- მაგრამ მაინც საქმე სასურველად რუწყვიათ. პოლონელ ემიგრანტებს ამ ჟამად ბში 273 სკოლა აქვთ, სადაც 72,000 იზრდება. მაგრამ რადგან სასკოლო ბავ-რიცხვი 300 ათასამდე აღწევს, პოლონელ ა უმრავლესობას ინგლისურ პირველ დაწ-სკოლებში უხდებათ სწავლა. პოლონელთ აში საკუთარი სამასწავლებელო სემინარი-ი; აქვთ აგრეთვე საკონკრეგაციო სკოლე-სწავლებელთა მოსამზადებლად. მაგრამ, რო- გოქვით, ყველა ეს საკმაო არ არის. ხში-პოლონურ მრევლში ინიშნება მღვდლად პო-ლი, რომელსაც სწავლა ინგლიურ ან გერ-სემინარიაში მიუღია, სადაც პოლონურ ტერატურას და ისტორიას არ ასწავ-

ნორვეგია. 1901 წელს გამოცემულ კანონით ძალიან გაფართოვდა ქალთა უფლებანი. ამ კანონის ძალით, ქალს, რომელსაც განათლების შესაფერი ცენზი აქვს, შეუძლიან მიიღოს ზოგიერთი სახელმწიფო თანამდებობანი. მაშინვე გადასწყვიტეს, გამოსცენ განსაკუთრებული კანონი, რომლითაც უნდა დაწვრილებით განისაზღვროს, რა თანამდებობის მიღება შეუძლიანთ ქალებს. მთავრობამ უკვე შეიმუშავა კანონ-პროექტი ამის შესახებ და მომავალ სესიის დროს იგი სტორტინგს წარუდგინებს განსახილველად. კანონ-პროექტით, ქალებს არ შეეძლებათ შემდეგ თანამდებობების მიღება: მღვდლებისა, სამხედრო მოხელეებისა, გუბერნატორებისა, პოლიცმეისტრებისა, მამაკაცთა სატუსაღოების დირექტორებისა, კონსულებისა და სამთო და საგზაო საქმეების გამგეთა თანამდებობანი. ამას გარდა, კონსტიტუციის მე-12 პარაგრაფის ძალით, ქალებს არ შეეძლებათ არც მინისტრებისა და სახელმწიფო სეკრეტრების თანამდებობათა მიღება. მთავრობას არ უნდოდა აკრძალულ თანამდებობათა სიაში სასულიერო უწყების თანამდებობანიც მოექცია და ამ საქმის გადასაწყვეტად შეეკითხა უნივერსიტეტის თეოლოგიურს ფაკულტეტსა და ეპისკოპოსებს. ეპისკოპოსებმა წარუდგინეს მთავრობას განსაკუთრებული მოხსენება, სადაც ნათქვამია, რომ ამგვარი რეფორმა ეწინააღმდეგება სამღვთო წერილსა და საეკლესიო ტრადიციებსა. კანონ-პროექტით, არავითარი გარჩევა არ არის გაუთხოვარ და გათხოვილ ქალებს შორის. საყურადღებოა საზოგადო სამუშაოთა მინისტრის შენინგის აზრი. ამ მინისტრის აზრით, ქალებს ნება უნდა მიეცეთ, მიიღონ მღვდელ ეპისკოპოსებისა, გუბერნატორებისა, სამთო და საგზაო საქმეთა გამგეობის თანამდებობანიც.

გერმანია. ჰამბურგში ამ ბოლო დროს მოძრაობაა მაღაზიებისა და დუქნების პატრონთა წინააღმდეგ. თხოულობენ, საღამოს 8 საათზე უსათუოდ დაიკეტოს ყველა მაღაზია და დუქანი. ასეთი წესი უკვე შემოიღეს ჰანოვერსა, კილსა, კასსელსა, ლიუბეკსა, მაგდებურსა, შვერინსა და სხვა ქალაქებში. ბერლინში ეს საქმე გადაწყვეტილია და ამ დღეებში აღკვეთავენ კიდეც რვა საათის შემდეგ მუშაობას.

— ჰამბურგში არსებობს საუცხოვო სახალხო სახლი. ეხლა აფართოვებენ ამ სახლს. სახლთან არსებობს სხვა-და-სხვა კავშირი და ორი ახალი კავშირიც ეხლა მიემატა. ერთი ხელოსანთა შეგირდების კავშირი და მეორე ახალგაზრდა ქალების კავშირი. ძალიან კარგად მუშაობდა სახალხო სახლთან არსებული უფასო იურიდიული კონსულტაცია. ამ ზაფხულს სახალხო სახლის გამგეობამ მოაწყო საზაფხულო მგზავრობანი და ექსკურსიები, რაც ძალიან მოეწონა მუშებს. ამ ექსკურსიებმა ძალიან დაასახლოვეს სხვა-და-სხვა წრის მუშები.

ახალი ამბავი

✦ ოფიციალურის ცნობებით, 26 სექტემბერს **ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა** 6 კაცი, გადაცვლილა 3 კაცი. 27 სექტემბერს ავად გამხდარა ხუთი, გადაცვლილა აგრეთვე ხუთი კაცი.

✦ 28 სექტემბერს მოხდა ტფ. **ქალაქის სასანიტარო კომისიის** სხდომა. განსაკუთრებულ კომისიას, რომელსაც დავალებული ჰქონდა ხოლერით გადაცვლილთათვის სასაფლაოს ამორჩევა, საუმჯობესოდ უცვნია ამისთვის ადგილი საყასბოს მახლობლად. სასანიტარო კომისიამ არ მოიწონა ეს ადგილი, რადგან საყასბოს მახლობლად უკვე სახლობს ხალხი, და დაავალა იმავე კომისიას, დაათვალიეროს სასაფლაოსთვის ადგილი ბაქოსა და ყარსის რკინის გზის შტოებს შუა ნავთლუხის სადგურს იქით. შემდეგ კომისიამ მოისმინა ცნობები ხოლერის შესახებ ბაქოში. 15 სექტემბრიდან 27-მდე ბაქოში, ოფიციალურის ცნობებით, ავად გამხდარა 154 კაცი და აქედან გადაცვლილა 93 კაცი. კომისიის წევრთ აღნიშნეს, ხოლერის გავრცელება ტფილისში ბაქოდან კი არ არის მოსალოდნელი, არამედ ერევნის მხრიდან. საშიშოა ერევნის გუბერნია, სადაც შეიძლება ხოლერა თავრიზიდან შევიდეს. თავრიზში დღეში 300 კაცზე მეტი კვდება ხოლერისაგან. გამოირკვა, რომ ერევნის საგუბერნიო სასანიტარო კომისიას ძლიერი კარანტინი დაუწესებია. თავ. ა. მ. არგუთინსკიმ აცნობა კომისიას ქუჩების მორწყვის საქმე. ოქტომბრის პირველ რიცხვებში თავდება მორწყვის იჯარა. სასანიტარო კომისიამ ქუჩების სარწყავად ორ თვეში დახარჯა 7500 მან. გააკეთებინა 45 სარწყავი ბოჭკა. კომისიამ დაადგინა, ბოჭკები და მოწყობილება გამგეობას გადასცეს. კომისიამ მოისმინა ქალაქის ქიმიკოსის მოხსენება ვეტცელისა და დატრიხის ლუდის ქარხნების შესახებ. ეს ქარხნები ხმარობენ მტკვრის წყალს. ზემოდ მტკვარი ისე ტალახიანდება და ბინძურდება, რომ შეუძლებელია მტკვრის წყლის გამოყენება. კომისიამ დაადგინა, ამ ქარხნებს სრულიად აეკრძალოთ ლუდის გამოსახდელად მტკვრის წყლის ხმარება. სახალხო საჩაიების მოწყობის საქმე, რადგან დიდი ფულია საჭირო, კომისიამ ჯერ-ჯერობით გადასდო.

✦ როგორც დეპეშებში იყო მოხსენებული, გენერალმა კუროპატკინმა ბრძანება გასცა, ჯარი მოემზადოს წინ წასასვლელად. ამ ბრძანების გამო 27 და 28 სექტემბერს ტფილისის საშუალო სასწავლებლებში პარაკლისი იქნა გადახდილი.

✦ დღეს, 30 ოქტომბერს, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში „წერა კითხვისა“ და „დრამატიულ“ საზოგადოებათა გამგეობების მეთაურობით გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ახლად გადაცვლებულის **სტეფანე ზუბალაშვილის** სულის მოსახსენებლად.

✦ 28 სექტემბერს ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ, გამგეობის მინდობილებით, განიხილა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოწერილობა ავლაბარში პროგიმნაზიის ნაცვლად **საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის** დაარსების შესახებ. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამისთვის ქალაქმა ერთხანად უნდა გაიღოს 175,000 მანეთი, ხოლო ყოველ წლობით 50,000 მან. კომისიამ დაადგინა, უარ ჰყოს წინადადება სატეხნიკო სასწავლებლის დაარსების შესახებ, რადგან ტფილისს არავითარი სახსარი არა აქვს ამისთვისაო. ამავე დღეს კომისიამ განიხილა პროექტი წესდებისა პუშკინის სახელობაზე ოთხის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ ქალაქის სასწავლებლებში. კომისიამ პროექტი დაამტკიცა.

✦ როგორც სადგურ სუფსიდან გვატყობინებენ, 27 სექტემბერს, დილის 8 საათზე, სადგურთან ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ **თოფით მოუკლავთ** თავ. ივანე გურიელის მოურავი ოზურგეთის მაზრის ჩოჩხათის საზოგადოების მცხოვრები იოსებ თავართქილაძე.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი** ოქტომბრის შუა რიცხვებში მიემგზავრება ზაქათალის ოლქში; ქ. ასტარში (სპარსეთი) ეკლესიის საკურთხებლად ეგზარხოსი აღარ მიემგზავრება.

✦ საქართველოს ეგზარხოსმა მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის წინაშე, ამ რამდენისამე თვის წინად შუამდგომლობა აღძრა, რომ **სასულიერო უწყებისათვის ავლაბარში**, სამკურნალოსთან 640 ოთხკუთხი საჟენი მიწა დაეთმო ეკლესიისა, სამრევლო სკოლებისა და საეკლესიო [illegible]ბულთა საჭიროებისათვის სხვა და სხ[illegible] შენობის ასაგებად. რწმუნებულმა ეს საქ[illegible] გადასცა სახელმწიფო ქონებათა გამ[illegible]ბას და თავისი აზრი მოსთხოვა. ეხლა, რო[illegible] გავიგეთ, გამგეობა წინააღმდეგი [illegible] ადგილის დათმობისა.

✦ საქართველოს ეგზარხოსის მინდობილებით, სამრევლო **საეკლესიო სკოლების ოლქის** მეთვალყურემ გუშინ ხელ[illegible] გრედ სთხოვა ქალაქის საბჭოს, რადგან [illegible] დესიმონოვის მოედანზე ეკლესიის [illegible]შენებლად ადგილი არ დაუთმო ქრისტი[illegible]ობის აღმადგენელ საზოგადოებას, ქალაქი სხვა რომელსამე ნაწილში მაინც დაგვითმეთ ადგილი, რომ ხელმწიფე მემკვიდრის დაბადების დღის აღსანიშნავად ეკლესია ავაშენოთო.

✦ როგორც ისმის, დ. სურამში არსდება **მეორე ხარისხის სამრევლო სკოლა.** ამ სკოლაში მოამზადებენ მასწავლებელთ წერა-კითხვის პირველ დაწყებით სკოლებისათვის.

✦ **თიანეთის მაზრის** უფროსმა გუ[illegible]რნატორს წარმოუდგინა პროექტი [illegible]რის დანაწილებისა ვოლოსტებად. ამ [illegible]თ, მაზრა ისეა დანაწილებული, რომ ერთი ტომის ხალხით დასახლებული სოფლები ერთად არის მოქცეული, ღარიბი სოფლები, რომელთაც გადასახადების შეტანა ეძნელებათ, ერთად.

✦ 1 ოქტომბრიდან დაიწყება **მატარებლების მიმოსვლა ორ ლიანდაგზე** ძეგამსა და კოვლიარს შუა.

✦ ამ რამდენისამე ხნის წინად გომბორში შეუდგნენ მიწის თხრას იმის გამოსაკვლევად, არის თუ არა იქ ნავთი. მე-1[illegible]9 საჟენის სიღრმეზე მართლაც **აღმოჩენილა ნავ**[illegible]

✦ 28 სექტემბერს **ქუჩების** [illegible] წვლელმა კომისიამ დაამთავრა მო[illegible]კება იჯარადარს კესისოღლუსთან [illegible]რობით შეეკრა. ქესისოღლუმ ქალაქ[illegible] წლის 10 მარტამდე ოსმალეთიდან მოუტანოს 600,000 ცალი ოთხკ[illegible]

✦ კავკასიის მთავარმართებლის [illegible]გულებით, ქუთაისის გუბერნიაში **[illegible]ამოლების** დროს საგუბერნიო და სამ[illegible] სახედრო ბევრის საკრებულოებში ექი[illegible] დაინიშნენ: ქუთაისის საგუბერნიო საკ[illegible]ლოში—მე-20 დივიზიის ქვეითა ჯარის [illegible]მი ნიკოლსკი, ქუთაისის სამაზრო საკ[illegible]ლოში ხოპერის პოლკის ექიმი ბელოი [illegible] რაჭინსაში—ტენგინის პოლკიდან ვრიო[illegible] რაჭისაში—კურინის პოლკიდან ტოპორო[illegible] ლეჩხუმისაში—სურამის ლაზარეთიდან [illegible] წითელი, სენაკისაში—სოხუმის [illegible]დან შიშკინი, ზუგდიდისაში—სოხ[illegible]კიდან სულაკაური, ოზურგეთისაში [illegible]ნის პოლკიდან ენუსბლატი, ბათუმ[illegible] ბათუმის ციხიდან ორემბოვსკი, ართვი[illegible] —ყუბანის ბატალიონიდან წინამძღვარი[illegible]ლი, ხოლო სოხუმისაში—სოხუმის ლაზარეთიდან ნიზოვეცი.

✦ უწმ. სინოდის განკარგულე[illegible] გორის სასულიერო სასწავლებლის ქარ[illegible]ლი ენის მასწავლებელი შიო მიუკაშ[illegible] გადმოყვანილ იქმნა ტფილისის სასული[illegible] სასწავლებლის ქართულ ენის მასწავლებ[illegible] ნაცვლად მღვდელ-მონაზონ ნიკოლოზის, რომელიც **გელათის მონასტრის** წინამ[illegible]ძღვრად დაინიშნა. გორის სასულიერო სასწავლებელში-კი ქართულ ენის მასწ[illegible]ლებლად დაინიშნა მინსკის სასულიერო სემინარიის აღმზრდელი ნიფონტე გამზარდი[illegible]

✦ დუშეთში გუშინ, 29 სექტემბერ[illegible] დაიწყო სხდომა ტფილისის **ოლქის სასამართლოს სესიისა.** სესია დუშეთში [illegible] 5 ოქტომბრამდე დარჩება და განიხილავს 1[illegible]-მდე საქმეს.

✦ ამას წინად ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა გუბერნატორს, რომ ქალაქის გამგეობა ცხენის გადასახადის ნედოიმკების სიებს შემოწმებლად უგზავნის ხოლმე პოლიციას და პოლიცია ფულს ვერა ჰკრებავს, რადგან მეეტლენი აცხადებენ, ჩვენზე არც ერთი კაპეიკი არ არის დარჩენილიო. პოლიცმეისტრის აზრით, არც შეიძლება დარჩენილი იყოს ფული, რადგან ქალაქის გამგეობა ყოველ წლიწადს ბილეთებს არ აძლ[illegible] მეეტლეებს იმ დრომდე, ვიდრე ისინი დარჩ[illegible] შეიტანენ. გუბერნატორმა ქალაქის [illegible]გეობას აცნობა ეს გარემოება და და[illegible] მატალებლად შესწორებული სა[illegible] გზავნ[illegible]

[illegible] იმდა არა ჩვეულებრივ სურათის დანახვაზე. ქით მხარეს მოცული იყო ნათელით, რი სდუმდა—რა კარგი მოსვენებაა... ვი ნანატრი ძილია.

რთ, უფრო დაღლილთ, მოილაპარაკეს იდეთ და მოვძებნოთ საუკუნო ძილიო“.

შევიდნენ წყალში. წყლის ზეწარმა, რო-ლებინა გასვლა მეორე ნაპირას, მისცა მდინარის ნაპირას დარჩენილთ ძალიან ინდათ მოძმეთა განშორება და სცდილო- იმათ დაბრუნებას. არც ერთი გადახვეწილი ერდებოდა და არ იხედებოდა უკან იმათ ზედ. ისეთის სისწრაფით და მსუბუქად დიენ, თითქო მდინარის მეორე ნაპირი ბლათობით თავისკენ ეწევათო. ხალხი, რომე-იდგა ცხოვრების ბარის ნაპირას, თან-და-მჩნევდა, რომ რამდენადაც გადახვეწილნი იწევდნენ, იმდენად იმათი ტანი გამჭვირ-და [illegible] ხდებოდა, თითქო დნებაო. საც გადადიოდნენ მეორე ნაპირს, წვე-ნ და ისვენებდნენ ყვავილებში, რომლითაც ილი იყო მთის კალთები და ხის ძირები. ვალები დახუჭული ჰქონდათ. სახეზედ ეტყო- არა მარტო აუწერელი მოსვენება, არამედ ანა ბედნიერება, რომელსაც სიყვარულიც ნიჭებდა ცხოვრების ბარში. ამის დანახვა-დანარჩენებმა სთქვეს, „სივის ქვეყანა უკე-ჩვენ ქვეყანაზედაო“.

ხმა თანდათან იწყო გადასვლა მეორე ნა- გადადიოდნენ მოხუცნი, ქმრებს ცოლები, და შვილები მიჰყვებოდათ; მიდიოდნენ ჭა- და ქალწულნი. მილიონობით ესეოდა ხალ-რო ფონს. ასე რომ ცხოვრების ბარში თითქმის აღარავინ დარჩენილა. ვიშნუს, რომელზედაც დამყარებული იყო ცხოვრების დაცვა, შეეშინდა იმ რჩევისა, რომელიც გაჯავრებულმა ხალხს მისცა და მეეგედრა ბრამას:

— გამჩენო!—სთქვა იმან:—მიეშველე სიცოცხლეს. იმისთანა მიმზიდველი, ლამაზი და ბედნიერი ჰყავ ბარი სიკვდილისა, რომ ჩემ სამეფოს ყველა თავს ანებებს.

— არავინ დარჩენილა?—შეეკითხა ბრამა.

— დარჩა მხოლოდ ორი: ჭაბუკი და ქალწული, რომელთაც თავდავიწყებით უყვართ ერთმანეთი და რომელთაც გადასწყვიტეს უარჰყონ სამუდამო მოსვენება, თვალების დახუჭვა და ერთმანეთის უნახველობა.

— მაშ რა გსურს შენ?

— ისე მოაწყე, რომ სიკვდილი ბედნიერი და მომხიბლავი არ იყოს, თორემ ეს ორი შეყვარებულიც მიმატოვებს, როდესაც გათავდება იმათი სიყვარულის გაზაფხული.

ბრამა დაფიქრდა და სთქვა:

— მე ვერ შევეხები სიკვდილის ბარის ვერც სილამაზეს და ვერც ნეტარებას. ხალხი განაკრძობს სივის ქვეყანაში გადასვლას, მაგრამ გადასვლა ამიერიდან იმდენად სამხიარულო აღარ იქნება. ამით ცხოვრებას ეშველება.

სთქვა ეს თუ არა, მოქსოვა წყვდიადის სქელი ფარდა, გააჩინა ორი საზარელი ცხოველი, ერთს უწოდა სახელად ტანჯვა, ხოლო მეორეს—შიში, და უბრძანა იმათ დაეჭირათ ფარდა ისე, რომ არავის შესძლებოდა გაგება, რა ხდებოდა მეორე ნაპირას. იმ დროიდან ხელახლა აყვავდა ცხოვრება ვიშნუს ქვეყანაში. თუმცა ბარი სიკვდილისა ძველებურად ბრწყინავდა და მოსვენებით იყო, მაგრამ ხალხს ძლიერ ეშინოდა იქ გადასვლა.

ა. ელოხისშვილი.

ციას. ამ მოწერილობისა გამო, 28 სექტემ ს გამგეობამ დაადგინა, აცნობოს გუბერნა რს, რომ სიები ყოველთვის რიგიანად სწორ , ამასთან მეეტლეთა განცხადება სიმართლეს ებულია, რადგან, თანახმად საქალაქო დე ებისა, ბილეთებს გამგეობა მეეტლეებს წლის დამდეგს ვერ დაუჭერს, რაც უნდა ბევრი ფული მათზე დარჩენილით.

ქუჩების მომკირწყლელმა კომისიამ დაადგინა, მისცეს იჯარით და ორის თვის განმავლობაში მოიკირწყლოს აგლაბარში შემდეგი ქუჩები: კობგეროვისა, აგლაბრისა, ფალავანდოვისა, როზოვისა, ხივინსკისა, იერისა, თელავისა და როზოვთი მოედანი.

◆ ტფილისის „კრუჟოკის“ მამასახლისებმა გუბერნატორს ქაღალდი მისცეს. მამასახლისები უჩივიან ქალაქის გამგეობას, რომ ყურადღებას არ აქცევს „კრუჟოკის“ მახლობლად მდებარე უსუფთაობის მიღსათ. კომისია ბევრ სხვა ნაკლულევანებასაც აღნიშნავს.

◆ ფოთი. 27 სექტემბერს, საღამოს 5 საათსა და 50 წუთზე, მეექვსე ვერსზე ორთქლმავალი დაეჯახა ვაგონებს, პარავოზის ტენდერი ლიანდაგიდან გადავარდა და პარავოზი რელსებს გადასცდა.

◆ სად. ალიათი. 27 სექტემბერს, ბაქოს გუბერნიის გლეხს ჯაბრაი-იავალ-ქერბალაის საქონლის მატარებლის ვაგონზე შეხტომის დროს ფეხი აუცდა, ჩავარდა და ძალზე დაშავდა.

◆ ბათუმი. 27 სექტემბერს მატარებლით მოიტანეს აქ სამანუფაქტურო საქონელი, გამოგზავნილი დგებუაძის სახელზე. სამანუფაქტურო საქონლის ნაცვლად ყუთებში აღმოჩნდა 4 ფუთი და 23 გირვანქა კარტონი.

◆ ბათუმი. 24 სექტემბერს სადგურზე, ვაგონების მანევრების დროს, მეისრე მიხეილ სტურუა გაქანდა ლიანდაგზე ვაგონის შესაჩერებლად ტორმოზით, მაგრამ დაეჯახა შპალს და ძალიან დაშავდა.

◆ ქარელი. 28 სექტემბერს ვიღაც ბოროტგანმზრახველთ რკინის გზის მეისრეს ნიკოლოზ აეშელაშვილს სადგომის ფანჯარა გამოუმტვრიეს და წაიღეს ორი ფორმის პალტო, შარვალი და პიჯაკი, ღირებული 37 მან. 50 კაპ.

◆ ფოთი. 27 სექტემბერს, როდესაც რკინის გზის ლიანდაგს ამაგრებდა მომუშავე ექვთიმე გაბილია, რკინა ასტყდა და მომუშავე დაშავდა.

◆ აჯიქაბული. მეისრეს ზაქარია ფარდანიშვილს ორთქლ-მავალის ვაგონებისაგან განშორების დროს ხელი ძალიან დაუშავდა. დაშავებული ბაქოს საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ ხვალ, 1 ოქტომბერს, მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის მზრუნველი კომისია, სხვათა შორის, განიხილავს პროექტს სავალდებულო დადგენილებისას ქალაქში სანიტარო წესების დაცვის შესახებ.

◆ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა გუშინ ქალაქის გამგეობას წარუდგინა ანგარიში მოსწავლეთა ექსკურსიისა რუსეთში. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, დახარჯულა სულ 580 მან.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის საქმეს, რომლის ძალითაც პასუხის გებაში მიცემულნი არიან „კრუჟოკის“ მამასახლისები სანიტარულ პირობათა დარღვევისათვის, მესამე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე განიხილავს 8 ოქტომბერს.

◆ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, ამა წლის 29 სექტემბერს დაჯარიმებულ იქმნენ თითო თუმნით შემდეგი სახლის პატრონნი სასანიტარო წესების დარღვევისათვის: მე-9 უბანში: სოფიო ზახაროვისა, მიხეილ ბასიკოვი, დარჩო გეურქოვი, სალომე საიატნოვი, გიორგი ბარცუაძე; მე-10 უბანში: ნიკოლოზ ვართანოვი, ალიბეგოვი პეტრე და ყორღანოვი ივანე—ავჭალის ცხენის რკინის გზის პატრონნი.

◆ 28 სექტემბერს ტფილისის მოქალაქე ქ-ნ მარიამ ტერ-ლიანცისათვის ქურდებს მოუპარავთ ფულად 30 მან. და ნივთები 50 მანეთისა.

◆ ამას წინად, გლდანისა და დიდუბის ქუჩის მცხოვრებთა თხოვნით, გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას, მალე მოიკირწყლოს ზემოხსენებული ქუჩა, რადგან იქ ისეთი ტალახები დგება, რომ პატარა წვიმის შემდეგაც-კი ძნელია გავლა. კომისიამ დაადგინა, მოკირწყლოს ამ წლის დამლევამდე ეს ქუჩაც, თუ კომისიას გეგმის შესრულების შემდეგ ამისათვის დრო დარჩება და მასალის დამზადებას მოასწრებს.

—

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება №-257.** შინაარსი: „საოცარი თავგადასავალი“ (იაპონური ზღაპარი), გერმანულიდან თარგმნილი ი. ნა—შიძის მიერ; სხვადა სხვა ამბები; სურათები: გენერალი ო. გრიპენბერგი, მანჯურიის მეორე არმიის უფროსი, გენერალი ს. მილოვი, უფროსი მე-8 კორპუსისა, რომელიც მიდის შორეულ აღმოსავლეთში, „სევდა“,—სურათი ეიბენშუტცისა, „პურის ცელვა“,—სურათი [illegible]ლისა, „ოცნება“.—სურათი მაკგვირთუდიოი კარიკატურა.

პრესსა

ამას წინად „რუსეთის ქრონიკა“-ში მოყვანილი გვქონდა საერო განათლების მინისტრის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა პეტერბურგში სამოსწავლო უწყების მოხელეთა მიღების დროს. მინისტრმა აღნიშნა სამწუხარო მოვლენა—სკოლისა და ოჯახის შორის არსებული განხეთქილება, გაუგებრობა და უნდობლობა. ამავე საგანს ეხება მოწინავე წერილში გაზ. „რუსკ. ვედ.“-ი და შემდეგს ამბობს:

> ეს განხეთქილება წინადაც აღნიშნულ იქნა, გენ.-ადიუტ. ვანნოვსკის მინისტრობის დროს. ზოგიერთ სასწავლებელში სცადეს კიდევაც მოეგვარებიათ რამე ამ განხეთქილების მოსასპობლად, მაგრამ ცდა უნაყოფო დარჩა, არ შეიცვალა წინანდელი რეჟიმი, სკოლის განკერძოება ოჯახისაგან. ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან სკოლის გამგეები უპირველესად ყოვლისა მოხელეები, „ჩინოვნიკები“ არიან, რომელთაც მრავალი ფორმალური მოთხოვნილება აწევთ კისერზე, და ამ მოთხოვნილებათა ასრულებას სასტიკად დაჰაჯობენ სკოლების უფროსები. მასწავლებელმა დღეს უნდა ასწავლოს ის, რაც სამოსწავლო გეგმაშია აღნიშნული, უნდა უზრუნველჰყოს ამ გეგმის უძრაობა, შეუცვლელობა. მასწავლებელთ არ შეუძლიათ გამოიჩინონ თაოსნობა სკოლის განახლების საქმეში, საამისო ძალ-ღონე არ შესწევთ. ამ განახლებისათვის საჭიროა თაოსნობის თავისუფლება, ფორმალურ მოთხოვნილებისაგან განთავისუფლება. თავისუფალი მოქმედება სამოსწავლო საქმეს განაცხოველებს, მოწაფეთ შეახალისებს, მასწავლებლის გავლენას, ავტორიტეტს განამტკიცებს და ოჯახის, საზოგადოების ნდობასა და დახმარებას მოუპოვებს. სკოლის დღევანდელი „ჩინოვნიკური“ წყობილება, წინ და წინვე გადაჭრილ გეგმით შეზღუდული, მხოლოდ ფორმალურ, ნატკეპნ გზას ადგია. თუ სკოლის საგანი მოწაფეთა აღზრდა-განვითარებაა, ამ საქმის განხორციელებისათვის ყველაზე უფრო საჭიროა თავისუფლება სამოსწავლო სფერაში, რომელიც ახალ სულს შთაბერავს ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს და მოსწავლეთა შორის კავშირს განაცხოველებს.

**

თავადი მეშჩერსკიც, როზგის სახელგანთქმული დამცველიც სწუხს პრესსის დამოკიდებულ მდგომარეობას, ბეჭდვითი სიტყვის შეზღუდვას, და ისიც თხოულობს პრესსის თავისუფლებას. როზგი—ხალხის მოსისხლე მტერია, ხალხი-კი თავად მეშჩერსკის კაბინეტს მოშორებულია, მისთვის განყენებულ მოვლენას წარმოადგენს, და ამიტომ თავადი უგულოდა და განყენებულად სჯის როზგის შესახებ; პრესსის შეზღუდვამ-კი თვით თავადი შეზღუდა მის საკუთარ სამწერლო კაბინეტში, განყენებულად-კი არა, ხორც-შესხმულ, მწვავე როზგად ხვდება ჩვენი სასიქადულო თავადის კეთილშობილ ზურგს და მწარე ჩივილს ათქმევინებს ხოლმე. აი, რას ამბობს „გრაჟდანინ“-ის რედაქტორი თავის ბოლონდელ წერილში:

> ტიმაშევის მინისტრობის დროს ერთი ამბავი შემემთხვა, რომელმაც მაიძულა ჩემი თავისთვის მეკითხნა: რად უნდა იყოს მინისტრი ბეჭდვითი საქმის გამგედ მეთქი? ტიმაშევი 1876 წლს გავრცელებულ სლავიანოფილურ იდეების მტერი იყო, მე-კი—ამ იდეების მომხრე და ამავე დროს ტიმაშევთან განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელედ ვიყავი. მე დავბეჭდე წერილი სლავიანოფილთა იდეების სასარგებლოდ და ტიმაშევმა 3 თვით დახურა ჩემი გაზეთი და გამომიცხადა, ან გამოიცვალე აზრები ან სხვა უწყებაში გადაბძანდიო. ესეც არ იკმარა ტიმაშევმა. ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე მე-II-მ რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების წინ სიტყვა წარმოსთქვა მოსკოვში, და ამ სიტყვას მე მხურვალე წერილი ვუძღვენი. ტიმაშევმა ვერაფერი ვერ გამიბედა, ვერაფერი მიზეზი ვერ მოსდო ჩემ წერილს, რადგან ეს წერილი თვით ხელმწიფემ მოიწონა და მადლობა გამომიცხადა. ტიმაშევმა ამ შემდეგ წერილზე ამოიყარა ჯავრი და გაფრთხილება გამომიცხადა მოსკოვის პოლიციის უპატივცემულოდ მოხსენებისათვის მე ყოველთვის ვიყავი გაზეთის „გოლოს“-ის მტერი, მაგრამ მაინც უნდა გამოვტყდე, რომ მკვეთრად ვიგრძენი ბეჭდვითი სიტყვის შებღალვა, როცა შინაგან საქმეთა მინისტრმა მოსპო „გოლოს“-ი, შური იძია ამ გაზეთზე კლასიციზმის, ძველ ენების მტრობისათვის. განსვენებულ მინისტრის პლევეს დროს გამომიცხადეს გაფრთხილება ჩემ წერილის გამო, რომელშიაც გუბერნატორების უდარდელობას ვეხებოდი. ვკითხე პლევეს, ნუ თუ ნება არა გვაქვს გუბერნატორებს ხელი შევახოთ მეთქი? განსვენებულმა პლევემ ხუმრობით მიპასუხა: „ეს ზომა იმის დასამტკიცებლად იყო საჭირო, რომ „გრაჟდანინ“-ი ჩემი ორგანო არ არის. სახეში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ბეჭდვითი სიტყვის პატრონს, შინაგან საქმეთა მინისტრს, ორი საზომი აქვს პრესსის გამგეობის დროს: თავისუფლებას აძლევს იმ ჟურნალ-გაზეთებს, რომელნიც მის საკუთარ მტრებს, სხვა მინისტ [illegible]
>
> ნიც თავად მას მტრობენ. მოყვანილი საბუთები, მგონი საკმაო უნდა იყოს იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ბეჭდვითი საქმე შინაგან საქმეთა მინისტრის უწყებისაგან უნდა განთავისუფლდეს, პოლიტიკას უნდა მოშორებულ იქნას, რაიცა თვით ამ მინისტრისთვისაც სასარგებლო იქნება.

თავის აზრის დასამტკიცებლად მეშჩერსკის მოჰყავს საუბარი შინაგან საქმეთა ერთ მინისტრთან. მინისტრს უთქვამს თავადისათვის: „მართალია, პოლიციის განცალკევება შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან შეუძლებელია, ბეჭდვითი საქმის გამგებლობის მოშორება-კი საჭირო და სასურველია, და მე, სწორე გითხრათ, ვოცნებობ იმ დროზე, როდესაც ამ საქმეს თავიდან მოვიშორებ. ვერ გამიგია, რად უნდა იყოს ჩემ გამგეობაში ბეჭდვითი საქმე. მტრების მეტს იგი ვერაფერს შემძენს, შინაგან საქმეთა მინისტრს-კი ისედაც მრავლად ჰყავს მტრებიო“.

პატარა ფელეტონი

ქართველი ქალი

(ვუძღვნი ბარონ დე-ბაის)

ფრანგულს „Memoire sur l'ethnographie de la Perse“ (Paris, 1866 წ.) ვკითხულობთ: „ქართველი მოდგმა ძველიდანვე განთქმული იყო თავისს საეროვნო იერით. ქართველთა და ჩერქესთ სისხლის სიწმინდით გაუმჯობესდა და გაფაქიზდა სპარსთა და ოსმალთ ბუნებრივად მოუხეშავი ტიპი, რასაც ხელი შეუწყო დიდის ხნიდან დაწყებულმა ურიცხვმა გადასახლებამ საქართველოდანა და ჩერქეზეთიდან სპარსეთსა და ოსმალეთში“.

მრავალი საბუთი ამტკიცებს ამ ფრანგის აქ ნათქვამს.

ჯერ ისევ ჰეროდოტე (480—426 წ. ქრ. წ.) გადმოგვცემს: „კოლხიდის მცხოვრებნი და მათნი მეზობელნი ვიდრე კავკასიონის მწვერვალამდე ხუთს წელიწადში ერთხელ გზავნიან სპარსეთს ძღვნად ასს ჭაბუკს და ასს ქალწულს. ეს ნებაყოფლობითი ძღვნობა დარიოსს აქეთ ჯერაც არ შეწყვეტილა“.

ქართველთა მოდგმის შვენიერება შეუნიშნავს თვით სტრაბონსაც (66 წლიდან ქრ. წ.), რომელიც ამბობს: „ერი აქ'ც (ალბანიაში—კახეთ ჰერეთში) აგრეთვე (ივერიელთა შემდეგ) შვენიერია და ტანოვანი“.

შარდენი სწერს 1671 წელს: „ქართველთა მოდგმა უულამაზესია მთელს აღმოსავლეთში და შემიძლიან გთქვა, მთელ დედამიწაზედაც. აქ მე ვერ შევხვდი ვერც ერთს გონჯს კაცსა და ვერც ერთს უშნო ქალს. ესენი ყველა ერთბამ ლამაზნია. ქართველ ქალთა უმეტესობა შემკულია ისეთის შვენიერებით, რაგვარსაც სხვაგან ვერსად შეხვდებით. ადვილი არ არის გამოსახო ქართველ ქალის პირისახის შვენიერება და მისი სხეულის სინარნარე. იგინი წარმოსადგენია, ნარნარნი, წერწეტნი. გაბღენძილ დედაკაცს იშვიათად ნახავთ“...

იოსებ დელაპორტი, რომელიც ტფილისში იყო 1768 წელს, შენიშნავს: „ტფილისი ვრცელი არ არის, მაგრამ ლამაზი ქალაქია. მასში ბევრი შვენიერი შენობაა. აქ არის 13 ეკლესია მართლმადიდებლებისა, 7 სომხებისა და 1 კათოლიკეთა. საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც ცხოვრობენ დიდის ლაზათით და ამასთანავე მცირე სახსარით... აქაურ ქალზე უუმშვენიერესი არა არის-რა. განუცვიფრებლად თვალს ვერ გაუსწორებ ხოლმე მათ. სწორედ ამ ქვეყანას შეიძლება ვუწოდოთ მშვენიერებათა სამეფო. აქ ისევე იშვიათად შეხვდებით ულამაზო ქალს, ვით სხვაგან სრულს ლამაზს. ყოველს ნაბიჯზე აქ შეხვდებით ლამაზს. მე რადა თქმა უნდა, არ გაზვიადებ. ქართველი ქალი თითქო გაჩენილა იმიტომ მხოლოდ, რომ შეიყვარონ და შეიყვარებოდეს. გულის აუძგერებლად ვერ შეხედავ ამ ქალებს, როდესაც თვალს მიაჩვევ მათს მორთულობას“.

შვეიგერ-ლერხენფელდი თავისს გერმანულ დიდ წიგნის პირველს გვერდებს უძღვნის ქართველებსა და ქართველ ქალს. პუშკინმა და ლერმონტოვმა რომ შეამკეს კავკასია თავის მშვენიერ ლექსებით, მას აქეთ,—ამბობს ლერხენფელდი,—ჩვენი წარმოდგენა ამ მომხიბლავ ქვეყნისკენ გვიზიდავდა. პოეტების მიერ დახატული სურათები კავკასიის ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა მრავალტომიან აღწერილობაზედაც უკეთ გვიჩვენებს იმ კავშირს, რომელიც არსებობს ცხელ აღმოსავლეთსა და მისს სიცოცხლით და სიხარულით აღსავსე შეხედულობათა და ჩვენ განათლებულ დასავლეთელთა შეხედულობათა შორის. თვალწარმტაც ადგილზე, რომელიც ჩაქსოვილია სინათლითა და სურნელოვანობით, შემკულია ვაზის გრეხილებით, დასავლეთელ პოეტებმა და [illegible]

მომადგენელნი არიან ლამაზი, სიცოცხლ
სავსე ქართველი და უმეტესად კი უუმშვ
სი და მოსიყვარულე ქართველი ქალი
მოხიბლავს მშვენიერებით და კეთილშობი
აღმკული სახე სამხრეთის ქალისა, მისი
თმა, ლამაზი, ვნებით აღავსე, უზაკველი
ლები, მობრწყინვალე თეთრი პირისახის
მაღალი შუბლი, რომელზედაც ელვარებს ძ
სი სამკაული, წერწეტი ტანი... გაზა
საღამოს, როდესაც მსუბუქი სიო ჩაჭყვებ
მღელვარე მტკვრის ტალღებს და მთების
დის ფერი ჩრდილი გადმოეფინება ქალაქს,
ლისის ლამაზნი გამოდიან თავიანთ სახიზარებ
სახლების ბანები და აივნები ივსება მო
და მოცინარე ჯგუფებით, და მაშინ შეგიძ
დასტკბეთ მშვენიერ სურათით, რომელი
ხელოვნურად გამოხატა ბოდენშტედტმა:

ან აივანი, ან ფარდული
ყოველს სახლს აქ გარს-არტყია...
მოვა საღამო, ამ აივნებს
გუნდი ლამაზთა აღავსებს.
და მთვარეც, ვერცხლებრ ელვარე,
დაჰნათებს ამათ საყვარლად...

„ტფილისი, საქართველოს სატახტო ქალა
განაგრძობს იგივე ავტორი,—ითვლება
კავკასიის პარიზად, და ქართველ თავა
უთვალავი ქალები, დიდებულნი და მცირე
(რომელთა რიცხვი საქართველოში იმდენია,
დენიც ვარსკვლავი ზეცაში), იცნებობენ
ბლავს ტფილისსა და მისს მხიარულობ
ქართველები უცილობლად ყველაზე საინტ
ერია მთელს ამიერ-კავკასიაში, სადა ბრწყინ
დამოუკიდებელნი სახელმწიფონი. ეთნოგრ
ლად საქართველო არის არა თუ მარტო ქ
ტფილისით, არამედ კახეთიც აღმოსავლე
იმერეთი, სამეგრელო და გურია დასავლე
ქართველ ქალს, ვით ჩერქესთა ქალებს,
უმთავრესი ადგილი ოსმალეთში, ქალებ
გაჭრობაზე. ამ უბედურთა რიცხვი ყოველ
1000-მდე იყო. მხოლოდ 1829 წელს,
ნოპოლის ხელშეკრულობით, ოსმალთ მ
ქალების საყიდელი უმთავრესი ბაზარი, ა
ხე... მაგრამ ქართველი ქალი, ტყვედ გ
ლი, არც ისე უბედური იყო, როგორც ჩ
ქართველი ქალი ჩერქესთა ქალებზე უფრო
თლებულია, უფლების მოყვარე და ხელ
ქმუ... ამიტომაც იგინი მალე შეითვისე
ლმე ახალს ყოფა-მდგომარეობას და ახერხ
მიეთვისებინათ უაღრესი უფლება მაჰმ
დიდებულების ჭარამხანებში. ასე, დედა ს
აბდულ მეჯიდისა იყო ქართველი ტყ
ასევე მრავალი სხვა ქალებიც, რომელთა
რად ემორჩილებოდნენ ოსმალთა სულ
უსრულებდნენ ყოველს წადილს“.

ყველას კარგად ახსოვს უბედური სვე
უკანასკნელ მთავრის ასულის ეკატერინესი,
მლის თვალ-წარმტაცი სილამაზე თავბრუს
ვდა სტამბოლის დიდებულებს და არა თუ
ტო დიდებულებს, არამედ თვით სულთანს
მუდს, რომლის მეუღლეობა უარჰყო . უმ
თო სილამაზით და სიშვენიერით შემკ
ეკატერინემ.

ქართველ ქალებისაგან დაიბადა ბევრი ს
ნი; არა თუ მარტო სულთანები, არამედ ი
ტორი ბიზანტიისა და ტრაპეზუნტისა. მა
პერატორ მიქელ დუკის (1071—1078
ცოლად ჰყვანდა ბაგრატ მე-IV-ის ასული მ
ამ მარიამის ბიძაშვილი ირინე მისთხოვდა
ისაკ კომნენს, იმპერატორ ალექსის (1081—11
ძმას. ბერძენი მწერალი მარიამის შესახებ ამ
რომ იგი იყოო „უკეთილშობილესი და უშ
ერესი“. დავით აღმაშენებლის ასული კატ
ტერინე) მისთხოვდა. (1116 წ.) ალექსის
კიფორე ბრიენისა და ანნა კომნენის ძეს.
კომნენი, ძე ტრაპეზუნტის იმპერატორის
ქისა, შეეუღლა ივერთა მეფის ალექსან
ასულს.

ედ. გიბბონის მსოფლიო ისტორიაში ვ
ცნობებს შესახებ ბიზანტიის უკანასკნელ იმ
ტორის კონსტანტინე პალეოლოგისა. ეს კო
ნტინე ტახტზე ავიდა 1448 წელსა და
ხანს საქართველოში გამოგზავნა თავისი
ტოსპათარი ფრანცა დიდის ამალით, დი
ბითა, მხედრებითა, ექიმებითა, ბერებით
ლობლებით. ფრანცას დავალებული ჰქო
სინჯა იმპერატორის საპატარძლო, გ
მეფის ასული ტფილისში მომავლობისას
ველები ეგებებოდნენ ბერძნებს და მათს
კას ყურადღებით ისმენდნენ. მეფის
მზითვად დანიშნული ჰქონდა 50,000
და ამას გარდა ყოველ წლივ ჯამაგირად ნ,

---

*) ავტორს დავიწყებია აჭარა, ჰანეთი,

ფრანცამ ნიშანი მიართვა იმპერატორის ძლის და დაბრუნდა კონსტანტინეპოლსვე, ვანა გიორგი მეფის კარის-კაცი. იმპე- დაამტკიცა საქართველო ოქმი (1452 შემოდგომას) და ქართველს დიდებულს კაცის, გაზაფხულზე, დანიშნულის წა- დ გამოგზავნი რაღდენსამე გემსაო... წინება ჩაიშალა, იმიტომ რომ 29 მაისს წელს კონსტანტინეპოლი აიღო მურად ს თვით ქართველთა სიძეც დაიღუპა ქალაქის ნანგრევებზე.

ბილია, რომ რუსებს კავკასიასთან აკავ- არა მარტო მეომრობა, არამედ ქორწი- ერების მეფე მთავრებისა და ამათ ლებისა. სხვათა შორის, იზიასლავ ვიჩს (1154 წელს) ცოლად ჰყავნდა (აბხაზია) მეფის (დიმიტრი აღმაშე- ძის) ასული. ამ ქალის წასაყვანად მო- მოვიდნენ შავის-ზღვით. ქალი წაიყ- ვს, სადაც იგი მალე დაქვრივდა.

ამ იცის ისიც, რომ დიდებული თამარ ქართველ მოხელეებმა შერთეს რუსს ს, რომელიც 1192 წელს განაძევა თა- 1196 წელს-კი კვად წმინდად დაი- სვე-უბედური რუსი. თამარმა-კი 1193 შეირთო ოსი დავით სოსლანი.

ველი ქალის სახელი ძველიდანვე გან- იყო რუსეთში. ყაზანის აღების წინად კროზნ [illegible] ონებდა ქართველ ქალის სი- და [illegible] ნევებდა თავისს ჯარს: [illegible], № 20 რ ღვთისა დიდის წყა- და [illegible] ქმიდის შეწობითა ჰჰრძნესი ვებრ უწკვიანესი დედოფალი ივერთა) მოქმედებდა და რაოდენჯერ იმარჯვებდა [illegible]“.

57 წლიდან უფრო გახშირდა მიმოსვლა ლოსა და რუსეთს შორის. 1604 წელს გოდუნოვმა საქართველოში გამოგზავნა შვილი და დაავალა, ჩემის ვაჟის თევ- ის დანიშნე ქართველთა მეფის ასული, ჩემის ასულის ქსენიასთვის მანდედას საქმრო. ტატიშჩევმა აასრულა ნაბძა- ნისთვის დანიშნა მეფე გიორგის ელენე, ხოლო ქსენიასთვის საქმროდ ბატონიშვილი ხოსრო. მაგრამ ეს და- მა, მაშინდა შაჰ-აბას I ის წვალობით ეთვე მისთვისაც, რომ თვით ბორის გო- მალე დაიღუპა მოსკოვში.

აბაზ I ის დროიდან ყაენები თავისს ად ნიშნავდნენ ქართველთაგან შემდგარს გადახვეწილ ქართველებს ანდობდნენ თანამდებობათ — ამირ სპასალარობას, ობას, ტარუღობას, პროვინციებში ნიშ- ნებად „სეფედების ჟამსო, — ამბობს ული პატკანოვი, — უმეტესი ნაწილი ების ყმადლეს წოდებისა იმყოფებოდა ს, ყანდაარს, ხორასანს, აქ რჩებოდა ანუ სამუდამოდ. ამათი რიცხვი ამ ისე დიდი იყო სპარსეთში (ამათ რიცხვს ოველით აგრეთვე ყაენისა და მის დი- ის ჰარამხანებში მყოფ ქართველებს), შესამჩნევი გავლენა იქონიეს სპარსე- ულდეს წოდებათა რასის გარდაქმნაზე“. ник осады Испагана авганцами“, III).

ები აღნიშნავენ მხოლოდ ქართველთა ს შერჩვნით სპარსთა და ოსმალთ ტიპისა ს გალამაზებას და არას ამბობენ შესახებ სომხებსაც დატყუოთ თუ არა ამგვარივე ნა ქართველებისა, მეტადრე იმ სომხებს, ბილ დიდებულის ანი-ქალაქის ახრების ქართველოში გადმოსახლდნენ და ქარ- თან იწყეს მეზობლობა, მოყვრობა და ნა- ნობა.

მ. ჯანაშვილი.

რუსეთის ქრონიკა

ვარშავის ოფიციალურ გაზეთში, დნევ.“-ში, დაბეჭდილია ვარშავის ლ-გუბერნატორის ჩერტკოვის შემდეგი ღება ბრძანება ვარშავის სამხედრო იმართ: „ვარშავა, 18 სექტემბერი, სექტემბერს რამდენიმე მუშა პოვონზკოვის ელევატორის ულის ახლოს გროხოვსკის პოლკის დიათს. ეს ამბავი შეატყობინეს სა- ლის უფროსს, უნტერ-აფიცერს, რო- თოფებით შეიარაღებული სამი სალ- და ერთი ეფრეიტორი გაჰგზავნა სალ- ს მისაშველებლად. როცა ისინი ად- მოვიდნენ, მუშების მთელი ბრბო , რომელმაც ქვები დაუშინა სალდა- მსუბუქად დასჭრა ერთი სალდათი. სალდათებმა საყარაულო სადგურისკენ დაიწიეს; მუშები გამოედევნენ და განუწყვეტლივ ქვებს ესროდნენ იმათ. ეფრეიტორის ბძანებით, სალდათებმა ერთხელ ისროლეს თოფი ჰაერში, მუშების შესაშინებლად. თოფი რომ გავარდა, მუშებმა თავი დაანებს სალდათებს. მართალია, უწესოებათა დროს საჭიროა, რომ რაზმის უფროსებმა ფრთხილად იხმარონ ხოლმე იარაღი, მაგრამ 6 სექტემბერს მომხდარი ამბავი ამ მხრივ განსაკუთრებული შემთხვევა იყო: მუშები ქვებს ესროდნენ ჯარის კაცთ და ამ დროს უკან დაწევა და ჰაერში თოფის სროლა შეიარაღებულ ჯარის კაცთა ღირსებას ამცირებს. ამისთანა შემთხვევის დროს ჯარმა ნამდვილად და გაბედულად, და არა ხალხის შესაშინებლად, უნდა იხმაროს იარაღი, რათა ხალხმა შეიგნოს, რომ ჯარის კაცთა შეურაცხყოფა და დევნა ცუდად არ ჩაუვლის. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს შემჩნეულია, რომ ჯარი ამგვარ შემთხვევათა დროს საზოგადოდ ერიდება იარაღის ხმარებას. ეს გარემოება შეარყევს ხალხში პატივისცემას სამხედრო წოდების მაღალ ღირსების მიმართ და უფრო წააქეზებს უწესოების მოთავეთ. ვუბრძანებ ჯარების უფროსთ სავსებით და გარკვევით განუმარტონ თავის ქვეშევრდომთ ყველა წარმოთქმული, რათა ჯარმა სამსახურის ასრულების დროს სასტიკად დაიცვას იარაღის ხმარების შესახებ არსებული ინსტრუქცია“.

◆ მოსკოვიდან შორეულ აღმოსავლეთში გაჰგზავნეს დაჭრილთათვის ათასი წყვილი ყავარჯენი და ხისაგან ხელოვნურად გაკეთებული მრავალი ხელი და ფეხი. საყურადღებოა, რომ ომში დასახიჩრებულთათვის დასახიჩრებულნივე ამზადებენ ყველა ამაებს; მუშებს, რომელნიც ამ საქმეს ადგანან, ზოგს ხელი არა აქვს და ზოგს ფეხი.

◆ რუსეთის გაზეთები შემდეგ ამბებს იუწყებიან განზრახულ საგუბერნიო რეფორმების შესახებ. სასურველად სცნობენ ყველა საგუბერნიო საადმინისტრაციო დაწესებულებანი ერთ ცენტრალურ დაწესებულებაში მოათავსონ, რომელიც უფრო ხელმისაწვდენი იქნება ხალხისათვის და ნაკლებ ხარჯსაც მოითხოვს. შეცვლილ უნდა იქნას ზოგიერთ შემთხვევებში საქმეების განხილვის წეს-რიგი; ზოგ საქმეს თვით გუბერნატორი გადასწყვეტს, ზოგი, სანამ გუბერნატორი გადასწყვეტდეს, წინ-და-წინ საგუბერნიო გამგეობის საბჭოში უნდა იქნას განხილული, ზოგს-კი ვიცე-გუბერნატორი ან საბჭოს წევრი გადასწყვეტენ. ცენტრალურ საგუბერნიო დაწესებულებას დაერქმევა საგუბერნიო გამგეობა, რომლიდან გამორიცხული იქნება მხოლოდ სხვა უწყებათა დაწესებულებანი — სახაზინო პალატა, სახელმწიფო მამულების გამგეობა, სამეცნიერო და საქველმოქმედო დაწესებულებანი და სხვ. საჩივარი ადმინისტრაციის წინააღმდეგ სენატს უნდა წარედგინოს.

წერილები

ს. უჯარმა (გარედ კახეთი). მეტის-მეტმა წვიმებმა ხალხი ძლიერ დაალონა. ეს სამი კვირაა, რაც დღე და ღამე გადაუღებლად წვიმს. მცხოვრებნი შეჰყურებენ გამოდარებას, რადგან პურის თესვის დრო ისეც დაგვიანებულია. დაქინებულის ავდრების გამო უჯარმაში მცხოვრებს ი. ყარყარაშვილს ჩამოექცა ზევითა სართულის ერთი ოთახი; უბედურება არა მომხდარა-რა, რადგან სახლში იმ დროს არავინ იყო. დადგა შემოდგომა და კვლავინდებურად კიდევ შეუდგნენ ქურდ-ბაცაცობას. ამას წინად ამ სოფლის მცხოვრებს ი. ნიკოლოზიშვილს მოჰპარეს სამი ცხენი, შემდეგ ამისა კიდევ მოჰპარეს ორი ცხვარი. ამავე სოფელში მცხოვრებს ი. ქიზიყურაშვილს მოჰპარეს ერთი ცხვარი. ქათამსა და ინდოურს ხომ სათვალავი არა აქვს. დანაკარგმა ჩაილურის წყალი დალია. ამ ვაჟბატონებმა თუ ამითი დაგვაკმაყოფილეს, კიდევ მადლობა ღმერთს.

ნ. ბარძიმაშვილი.

ჩოჩხათი (გურია). ასეთი გაჭირვება, როგორც წელს, ჩვენ სოფელს არ ახსოვს. ჩვენში ისეთი ოჯახი იშვიათად მოიპოვებოდა, რომელსაც წელიწადში 200—300 ფუთი სიმინდი არ გაეყიდოს. მაგრამ შარშანდელ მოუსავლობის გამო წელს ფუთი სიმინდი 1 მ. 20 კ.—1 მ. 50 კ. იყიდება და ისიც ძნელი საშოვნელია. ქურდობამ წელს ჩვენშიაც იჩინა თავი. ცხრა სექტემბერს სალამოს ერთ გლეხს წისქვილიდან მოჰქონდა ორი ფუთი ფქვილი, დაჰხვდა გზაში ორი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი, წაართვეს ფქვილი და მაგრად ნაცემი დასტოვეს გზაში. 15 სექტემბერს პავლე გორდელაძის დუქანში შევიდა რვა შეიარაღებული კაცი და მოითხოვა ფული. მედუქნემ პირველად უარი უთხრა, მაგრამ როდესაც პავლეს მოკვლა მოილაპარაკეს, მაშინ ამოიღო ჯიბიდან 170 მანეთი და უნდოდა ამითი გაესტუმრებინა; მაგრამ ქურდები ამასაც არ დასჯერდნენ, გამოარჩიეს საუკეთესო საქონელი, გაივსეს ტომრები, რომელიც ქურდებს მოეტანათ სახლიდან, მოიდვეს ზურგზე და გასწიეს.

გიორგი ესოფისძე

საკვირველი ენერგია

(წერილი გერმანიიდან)

დაუჯერებელ ამბავს მოგვითხრობს ერთი გერმანული ჟურნალი ამერიკელ მწერალ-ქალის შესახებ: ახალგაზდა ქალი მის ელენე კელლერი ბავშობიდან სმენის, ხედვის და ლაპარაკის უნარს მოკლებული ყოფილა. მაგრამ მიუხედავად ამისა, საუცხოვო ბეჯითობით ბუნების მიერ სასტიკად დასჯილმა ქალმა საკვირველი ნაბიჯი წასდგა წინ. ამ ჟამად ის ამერიკის ერთ უნივერსიტეტში სწავლობს და ამზადებს დისერტაციას დოქტორის ხარისხის მისაღებად. ამას გარდა მან გამოსცა ფრიად საინტერესო მოგონებანი თავისი წარსულიდან და გამოაქვეყნა აგრეთვე თხზულება შოპენჰაუერის და იმის მიმდევრების პესსიმისტურ მოძღვრების წინააღმდეგ...

ელენე კელლერი დაიბადა 27 ივნისს 1880 წ. შეუსრულდა თუ არა ორი წელი, ტვინის ანთება დაემართა, რამაც სამუდამოდ გააუბედურა ბავშვი: ამ ავადმყოფობამ დაუკარგა სმენისა, ხედვისა და ლაპარაკის უნარი. ამ შემთხვევით ძლიერ შეწუხებულმა მშობლებმა ყოველივე ღონე იხმარეს, რომ ავადმყოფი როგორმე გამოებრუნებინათ, მაგრამ ამაოდ, ვერავითარმა საშუალებამ ვერ უშველა, პატარა ელენე ისევ ყრუ, მუნჯი და უსინათლო დარჩა. ექვსი წლისა რომ შეიქმნა, მშობლებმა, ექიმ პროფესსორის რჩევით, აიყვანეს ბავშვისათვის მასწავლებლად მისს სულლივანი, რომელსაც უნდა განევითარებინა ელენე სულიერად. ამ მასწავლებელ-ქალის მეცადინეობამ დიდი ნაყოფი მოიტანა, ელენე კელლერმა შეისწავლა წერა-კითხვა, უცხო ენები (გერმანული, ფრანგული, ლათინური და ბერძნული) და სხვ. ცოტა ხნის შემდეგ ელენე შევიდა მუნჯ-ქალთა სასწავლებელში ნიუ-იორკს 1896 წელს კი უკვე საქალებო გიმნაზიაში სწავლობდა.

ამ ჟამად-კი ის, როგორც ზემოთაა ნათქვამი, უნივერსიტეტში სწავლობს და დისერტაციას ამზადებს. რა თქმა უნდა, ბუნების მიერ სასტიკად დასჯილმა არსებამ ყველა ამას საკვირველი, თითქმის წარმოუდგენელი ენერგიით მიაღწია. ზოგიერთი დარგი მეცნიერებისა მისთვის სრულიად მიუწდომელი იყო, განსაკუთრებით მათემატიკა, მაგრამ საკვირველ ქალის საკვირველმა ენერგიამ მაინც თავისი ჰქნა და ბუნებით საშინლად დაჩაგრულმა ქალმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა მოინდომა. მართლაც, ყრუ მუნჯი და უსინათლო ქალის ცოდნა იმდენად განვითარდა, რომ მან ორი საყურადღებო წიგნი გამოაქვეყნა. პირველ წიგნში აწერა თავისი დიდად საინტერესო წარსული, თავისი მრავალტანჯული ცხოვრება. ეს წიგნაკი თითქმის ყველა ევროპიულ ენაზე გადაითარგმნა. მეორე წიგნაკი ფილოსოფიურ შინაარსისაა. ბუნებისაგან დაჩაგრული ავტორი, ყრუ, მუნჯი და უსინათლო ელენე კელლერი პესსიმიზმის წინააღმდეგ იბრძვის...

კომმენტარიები აქ მეტია. დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ქვეყანაზე ხშირად ხდება ხოლმე დაუჯერებელი ამბები და ესეც უნდა დავიჯეროთ...

Sch.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 სექტემბერი

პეტერბურგი. 28 სექტემბერს შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობები არ მოსულა. — მიღებულ ცნობებით, ხარბინში ბევრი დეპეშა მოდის შემდეგის ადრესით: „საავადმყოფოში“. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-გამგეობა აცნობებს, დეპეშათა ჩაბარების დაგვიანების ასაცდენად გამგზავნელებმა უნდა აღნიშნონ ადრესში საავადმყოფოს ნომერი ან სახელწოდება.

ტოკიო, 28 სექტემბერი. პრინცი ანტონ ჰოჰენცოლლერნი სალამოს წავიდა მომქმედ არმიაში.

· **პეტერბურგი.** მე-16 კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი კახანოვი დაინიშნა მანჯურიის მეორე არმიის არტილერიის ინსპექტორად.

ჩიფუ, 28 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). პორტ-არტურიდან ნავით ჩამოსულმა რუსებმა გადმოგვცეს 25 სექტემბრამდე მომხდარი ამბები. მათის სიტყვით 22 სექტემბერს ღამე იაპონელებმა იერიში მიიტანეს სიმაგრის ფანტაოს რედუტის ჩრდილოეთის მხარეს და უეცრად დაეცნენ იქ მყოფ მეციხოვნე ჯარს. ყველა, ვინც თავი ვერ დააღწია, მოკლულ იქმნა. იაპონელებს [illegible] ციხიდან ზარბაზნები დაუშინეს და გააჩერეს, რადგან პროჟექტორის შუქის მეოხებით სწორედ გამოარკვიეს მათი პოზიცია. იაპონელთა ჯარი გაცხარებით მოქმედებს. მოწინავე პოზიციებზე ზარბაზნები დადგეს, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთის მხარეს, სადაც დაგუშანი ბაზას წარმოადგენს. პორტ-არტურში არაფერი ცვლილება არ მომხდარა. ჯარი წინანდებურად მხიარულად არის და დარწმუნებულია, რომ კუროპატკინი მივა იმათ საშველად. ფიქრადაც არ მოსდით, რომ იაპონელებს დაჰნებდებიან. სურსათი მრავლადაა, თუმც სხვა და სხვა ღირსების კი არის. ჭებში საკმაოდაა წყალი. ჯარი ჯანმრთელადაა. აფიცრებს გატაცებით უყვართ დაუღალავი სტესსელი. — მიკადოს პროკლამაცია უფრო აქეზებს ჯარს გულ-მოდგინე მოქმედებისათვის და აქაური იაპონელები ფიქრობენ, ეს ალბად იმის ნიშანია, რომ უკანასკნელი ღონე უნდა იხმარონ შემდგომამდე ციხის ასაღებად. იაპონელები ჰშიშობენ, რომ ალყა ზამთარშიაც გაგრძელდება, თუმცა მეციხოვნე ჯარს დიდი გაჭირვება მოელის.

შანჰაი 23 სექტემბერი, („რეიტ. სააგ.“). იაპონელები ამბობენ, რომ 13 სექტემბერს დიდად დაზარალდნენ პორტ-არტურთან და იმედიც არა აქვთ, რომ თვეზე ადრე ციხეს აიღებენ. იაპონელებს განზრახვა აქვთ, მუკდენიდან ჩრდილოეთისაკენ შორს არ წავიდნენ. ეს ადგილი საჭიროა იმისათვის, რომ ლიაოიანიდან იჩუსკენ მიმავალი და აგრეთვე რკინის გზაც შეინახონ.

შემოდგომაზე იაპონელები პოსიეტის ყურედან ვლადივოსტოკის წინააღმდეგ მოახდენენ დემონსტრაციას. — გენზანიდან ორი დივიზია გაგზავნეს. კორესპონდენტებსა და სამხედრო აგენტებს გამოუცხადეს, ამ დივიზიებს გაჰყევითო. დივიზიების განზრახვაა სახალინისაკენ წავიდნენ. იაპონელთა უმაღლესი წრეები დარწმუნებული არიან, რომ ლიაოიანთან ბრძოლა გენერალ ნოძუს წყალობით მოიგეს. მარშალი ოიამასა და უმაღლეს შტაბს ბრძანება უკვე გამოეცათ, ჯარი უკან დაეხიათ, მაგრამ ნოძუ მედგრად წინააღუდგა ამას და სთხოვა, ერთი უკანასკნელი ღონეც ვიხმაროთო. ამიტომაც იაპონელები ნოძუს უნდა უმადლოდნენ გამარჯვებისათვის. ჰფიქრობენ, ოიამა და მთავარი შტაბი იაპონიაში დაბრუნდებიან. იმათ გამოიწვევენ იმ მიზეზით, ვითომ მხედრობა საზამთროდ უნდა დაბინავდესო. მაშინ მთავარ-სარდლად ნოძუ დაინიშნება. — გენერალი ნასი მანჯურიის სამხედრო გუბერნატორად დაინიშნება. — იაპონიაში ძლიერ ბევრი დაჭრილი და ავადმყოფი გაიგზავნა. ირწმუნებიან, რომ მარტოდ კობეში 30 ათასამდეა დაჭრილი და ავადმყოფი. ტაძრები და საავადმყოფოები სავსეა, მაგრამ მიუხედავად ამისა იაპონელები არავითარ დაბრკოლებას არ ხვდებიან ახალის ჯარის კაცების გაწვევაში.

პეტერბურგი. დაინიშნენ: წყნარე ოკეანის პირველ ესკადრის უფროსი ვიცე-ადმირალი ბეზობრაზოვი — ბალტიის ფლოტის უფროს ფლაგმანად; კონტრ-ადმირალები: ვლადივოსტოკის ნავთსადგურის უფროსი ჰაუპტი — ბალტიის ფლოტის უმცროსს ფლაგმანად, გრევე — ვლადივოსტოკის ნავთსადგურის უფროსად და იესსენი — წყნარე ოკეანეს პირველ ესკადრის უფროსად.

იალტა, 29 სექტემბერი. კრეისერ „გრომობოი“-ს უფროსი ფლიგელ-ადიუტანტი კაპიტანი დაბიჩი მოვიდა.

29 სექტემბერი

პეტერბურგი. დაინიშნენ: მისი უდიდებულესობის კაბინეტის მმართველის თანამდებობის აღმსრულებელი გენერალ-მაიორი რიძევსკი შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად, პოლიციისა და ჟანდარმების უფროსად; გენ.-ლ. ტოპორინი მე-16 კორპუსის უფროსად, მე-16 არმიის კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი რაზგონოვი დაჭრილთა შესახებ ალექსანდრეს კომიტეტის წევრად; გენერალ-ლეიტენანტი რუზსკი მანჯურიის მე-2 არმიის შტაბის უფროსად; გენერალ-მაიორი შნაკი — მანჯურიის მე-2 არმიის გენერალ კვარტირმეისტრად.

ელბრა[illegible]. მეფის მიერ მოწვეული საფრანგეთის აფიცრები, გენერალ პერანის მეთაურობით, 2 ოქტომბერს ჩამოვლენ და სამი დღე დარჩებიან ამათ მისაყვანად მეფე საგანგებო მატარებელს ჰგზავნის პარიზს და ამ მატარებლითვე ისინი პარიზს დაბრუნდებიან.

28 სექტემბერი

შაჰკი. საერობო კრებამ დაადგინა, შემოიღოს ერთ სასწავლებელში საცდელად ახალი წესი, რომლითაც სამოსწავლო წელიწადი 1 იანვარს დაიწყება და ზოგიერთ საერობო სასწავლებელში ერთი წლით განაგრძოს სწავლება, რადგან ამ სკოლებში სწავლის საქმე კარგად არ მიდის. საგნების პროგრამის შემუშავება მიენდო სამოსწავლო საბჭოს და გადადებულ იქნა ათასი მანეთი სამის სკოლის მასწავლებელთათვის.

სტამბოლი, 26 სექტემბერი („კორ. ბიურო“). დღეს ხელი მოაწერეს საბოლოო ხელშეკრულობას სტამბოლსა და კონსტანცას შუა ზღვაში სატელეგრაფო მავთულის გაყვანის შესახებ.

ბარცელონა, 28 სექტემბერი. გუშინ ნუსაში დაატუსაღეს სამი ანარქისტი, რომლებიც გამოტყდნენ, რომ 21 მარტს შეთქმულობა მოახდინეს მეფე ალფონსის მოსაკლავად.

კიევი, 28 სექტემბერი. რკინის გზების წარმომადგენელთა საბჭომ უარჰყო წინადადება ბაქოსა და ვარშავის შორის პირ-და-პირ მიმოსვლის შემოღების შესახებ.

სტამბოლი, 28 სექტემბერი (სპეციალური). ბერძენთა რაზმები, რომლებიც ბოლგარელთ სდევენ, მონასტირისა და სალონიკის ვილაეტებში გამოჩნდნენ. პატრიარქი იუწყება, 22 სექტემბერს ბოლგარელთა რაზმა ბერძენთ თავს დაესხა და მელნიკის მაზრის ერთ სოფელში სამი კაცი მოჰკლათ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 28 სექტემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,32½
ლონდონისაზე ჩეკები	94,40
ბერლინისაზე „	4*,30
პარიზისაზე „	37,52½
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	91⅞ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	89¼ „
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	423
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	332 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	275 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	87½
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	82⅛
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	89⅛
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	87
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	239 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამზაბუთოებით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გა[illegible]

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპნიდან: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში 60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვ[illegible]ბის სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ხოთახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ, მცხეთის სვეტიცხოვლის დღესასწაულის გამო, 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს ტფილისიდან მცხეთაში წამსვლელი და მცხეთიდან ტფილისში წამომსვლელი მგზავრები მიდიან შემდეგ მატარებლებზე:

30 სექტემბერს

№ 469	ტფილ. გადის	ნაშუადღ.	3 ს 24.	წ.
№ 459	„ „	საღამოს	6 „ 30	„
№ 24	მცხეთ. გამ.	„	7 „ 30	„

1 ოქტომბერი

№ 457	ტფილ. გადის	დილის	5. ს. 42	წ.
№ 461	„ „	„	8 „ 50	„
№ 463	„ „	„	10 „ 18	„
№ 465	„ „	„	11 „ 39	„
№ 467	„ „	ნაშუად.	2 ს. 02	წ.
№ 469	„ „	„	3 „ 24	„
№ 459	„ „	საღამ.	6 „ 30	„
№ 471	„ „	“	9 „ 13	„
№ 460	მცხეთიდან გამ.	დილის	7 „ 27	„
№ 462	„ „	„	10 „ 20	„
№ 464	„ „	„	11 „ 40	„
№ 466	„ „	ნაშუადღ.	2 „ 05	„
№ 468	„ „	„	3 „ 25	„
№ 470	„ „	„	5 „ 20	„
№ 21	„ „	საღამ.	7 „ 30	„
№ 472	„ „	„	10 „ 45	„

მგზავრობა ტფილისიდან მცხეთამდე ღირს პირველ კლასით—53 კაპ., მეორეთი—32 კაპ., მესამეთი—21 კაპ.

საათები აღნიშნულია პეტერბურგის დროზე.

(3—6.—2)-

ტფილისში ტანისამოსის მკერავი
ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთელი ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ და დროზე მზადდება. ფასები ძალიან ზომიერი.** [illegible]ორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა მართლ[illegible]ადებელთა სასულიერო სემინარიის პირ[illegible] პირ.

[illegible]—4)

СѢДЕЛЬН[illegible] СПЕЦІАЛЬК[illegible]

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 93, სახაზინო სომხიან ახლოს. (წ.—176—56)

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებ[illegible]
გ. ი. პალლიზენ

რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდი[illegible]

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ო[illegible]

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საიასხი[illegible]ტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელ[illegible]

ტელეფონი № 679.

გენერალნოე ობშჩესტვო
(Генеральное общество)
სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; [illegible]ტის წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანეთისა (3.00[illegible] ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გად[illegible] გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ[illegible]დით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც [illegible] საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წ[illegible]დეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და [illegible]გად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებ[illegible] აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას; მხ[illegible]

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, ყველაზე [illegible] ზღვევს შეტანილი პრემია; [illegible]აში, საცა ბრწყი[illegible]

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობა[illegible] გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თა[illegible] აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქოევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100-

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ-ნოვგო[illegible]

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონე[illegible]

უდიდესი ჯილ[illegible]

Grand pri[illegible]

პარიზის გამოფ[illegible]

მიენიჭა რუსეთში [illegible]

ამხანაგობას

რუსეთ-ამერი[illegible]

რეზინის მაწ[illegible]

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 186[illegible]

რეზინის კალ[illegible]
ყიდვის დროს [illegible]
ყურადღება მიაქ[illegible]
ლოშის ძირზე [illegible]
განსაკუთრებით [illegible]
ბის დაარსების [illegible]
„1860“ და [illegible]
„С.-Петерб[illegible]
წითელ სამკუ[illegible]
ბრიკის ნი[illegible]
ნარი ათ[illegible]
მწარმოებ[illegible]
ერთ ხარ[illegible]

„ლეოპოლდ ნოშელლერი“

მხოლოდ პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ოდეს[illegible] ტაშკენტში. და ტფილისს

(60—4[illegible]